

ქართული სუფრა ტრანსფორმაციის პროცესში

ალექსანდრე ქევიციანი / Aleksandre Kevkhishvili

შესავალი

თანამედროვე ქართული საზოგადოების შესასწავლად ქართული სუფრა იდეალური კვლევის საგანია. პოლ მანინგის სიტყვებით: „სუფრა არის ერთი ყალიბი, რომელშიც ისხმება ყველა სეკულარული რიტუალი, ფორმალური და არაფორმალური სოციალური შემთხვევა, ... ყველა დღესასწაულისა და დაბადებიდან სიკვდილამდე ყველა ცხოვრებისეული ტრანზიციის აღნიშვნა. სუფრა ისეთივე ყველგან მყოფი სოციალური ფორმაა, როგორც სავალდებულო.“^[1]

ქართველებისთვის სუფრა ყოველდღიური, ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა, რის გამოც იგი იშვითად ხდება განხილვის ან რეფლექსიის საგანი. თუმცა უცხოელებისთვის იგი საკმაოდ თვალშისაცემი და ხშირად გაუგებარი რიტუალია. ერთი მხრივ ისინი სასიამოვნოდ განცვიფრებულები რჩებიან სუფრაზე დახვედრებული გადამეტებული სტუმარმასპინძლობით, ხოლო მეორე მხრივ უსიამოვნოდ უკვირთ როცა მათ მკაცრად სთხოვენ უამრავი წესის დაცვას.

სამწუხაროდ სუფრა, როგორც ცენტრალური სოციალური ინსტიტუცია, არასაკმარისად არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სუფრის თვალშისაცემობამ უცხოელი მკვლევარების ყურადღება მიიქცია. ქართველი ავტორების მიერ ამ თემის სერიოზული კვლევა (პერიოდულად მაინც) არ მიმდინარებს. მეტიც, არსებული კვლევები მხოლოდ თვისებრივია (უცხოელი მკვლევარების შემთხვევაში ჩართულ დაკვირვებაზე დაფუძნებული, ხოლო ქართველების შემთხვევაში პირად გამოცდილებასა და დაკვირვებებზე) და ამ გზით ჩამოყალიბებული თეორიები და ჰიპოთეზები არ არის გამყარებული რაიმე სახის რაოდენობრივი კვლევით ან მონაცემებით. წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა პირველი ნაბიჯი გადადგას აღნიშნული ვაკუუმის ამოსავლებად.

სუფრის კვლევის მნიშვნელობა

სუფრის კვლევა მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ იგი არის კომპლექსური და მრავალფუნქციური სოციალური ინსტიტუცია, რომლის გარშემოც და რომლის მეშვეობითაც ხდება (ქართული) სოციალური სამყაროს კვლავწარმოება. მისი დღევანდელი ფორმა იყო (განსაკუთრებით ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში) და არის ამ სოციალური სამყაროს ერთგვარი ცენტრი. ლიტერატურის მიმოხილვისას ჩვენ ვნახავთ, რომ სუფრა არც თუ ისე სტატიკური და უცვლელია, როგორც ეს ხშირად მის მონაწილეებს წარმოუდგენიათ. ერთი მხრივ სუფრის მოქნილობის გამო მის სახეზე და ფუნქციებზე კარგად აისახება ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის გარემოებების ცვლილება; იგი საზოგადოების რეაქციის მექანიზმია. მეორე მხრივ, სუფრა თავად არის მსოფლმხედველობის გამყარების საშუალება.

სუფრის ცვალებადობისთვის თვალის დევნება განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, რადგან სწორედ ამ დროს მოხდა (და ხდება) გარემოებების ძირეული ცვლილებები. სუფრაზე დაკვირვებით შესაძლებელია იმის თქმა, თუ როგორ აისახება ახალი რეალობები საზოგადოებაზე.

ტერმინის განმარტება

სუფრა - რიტუალიზირებული სოციალური ინსტიტუცია, სადაც ალკოჰოლური სასმელისა და საჭმლის მედიუმების მეშვეობით, აგრეთვე თამადისა და სადღეგრძელოს ინსტიტუტების გამოყენებით სრულდება სხვადასხვა სოციალური ფუნქცია, მათ შორის: გართობა, სოციალიზაცია, კომუნიკაცია და ადამიანებს შორის კავშირების დამყარება/გამლიერება.

წინამდებარე კვლევაში სუფრად ჩათვლილია ყველა ის შემთხვევა, სადაც მაგიდასთან ნებისმიერ გარემოში მინიმუმ 2 მონაწილე ზის, არის თამადა და ისმება სადღეგრძელოები; იქნება ეს ჭირის, ლხინის, დაგეგმილი თუ სპონტანური სუფრები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სუფრის კვლევა საქართველოში

როგორც უკვე აღნიშნე სუფრის კვლევა ქართველი მკვლევარების მიერ არ მიმდინარეობს. ამ თემაზე გამოქვეყნებული ერთადერთი სერიოზული პუბლიკაცია 13 წლის წინ გაიწიდა რედაქტირებით გამოსული კრებულია, სადაც სუფრა განიხილება სამოქალაქო საზოგადოებასთან შეპირისპირებით დემოკრატიზაციის კონტექსტში. კრებულში შესული ყველა ავტორი ცდილობს შემდეგ კითხვაზე გასცეს პასუხი: შეთავსებადია თუ არა სუფრის ტრადიცია დემოკრატიზაციის პროცესთან?

ნოდია აღნიშნავს, რომ სუფრა რეაქციაა რეპრესიულ გარემოზე (საუბარია რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირზე), როგორც მისგან თავშესაფარი ან მისი რიტუალური გათამაშება. ამ უკანასკნელს სუფრა იმით ახერხებს, რომ ქმნის არსებული რეპრესიული ვითარების შემსუბუქებულ („სასიამოვნოდ ავტორიტარულ“) ვარიანტს, რომელიც ხალხს რეალობის მიღებაში ეხმარება.^[2]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სუფრას ეს ფუნქცია წესით უნდა დაეკარგა, თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რეპრესიულ გარემოში დიდწილად იგულისხმება დაჩქარებული და ძალადობრივად განხორციელებული მოდერნიზაცია (რუსეთის იმპერიაში), სავსებით შესაძლებელია, რომ სუფრის თავშესაფრის ფუნქცია დღეს უფრო მეტად იყოს საჭირო, რადგან მტკივნეული მოდერნიზაცია დღევანდელ დღესაც აქტუალური თემაა.^[3]

„გარშემო მიმდინარე „ახალი მოდერნიზაციის“ პროცესები კიდევ უფრო ტრავმატულია საშუალო ქართველისთვის, ვიდრე რუსული ეგზეკუციები ან კომუნისტური ტერორი, ისინი მარტოს და დაუცველს ტოვებენ ინდივიდს საზაზრო-დემოკრატიული გაურკვევლობის წინაშე, და მას როგორც არასდროს, ისე სჭირდება რიტუალური თავშესაფარი, სადაც ნაცნობ და აუთენტურ წესრიგს გაითამაშებს.“^[4]

თავი I: თეორიები სუფრის წარმოშობის შესახებ

ქართული სუფრა მე-19 საუკუნეში

აღნიშნული კრებული დიდწილად ეფუძნება ლევან ბრეგაძის სტატიას, სადაც იგი სუფრის წარმოშობაზე საუბრობს. მისი დაკვირვებები (და მთლიანად კრებულის შინაარსი) წინამდებარე ნაშრომში განხილულ ბევრ უცხოელ ავტორს აქვს ასახული თავის კვლევებში.

ბრეგაძე ამბობს, რომ სუფრის ის ფორმა, რომელსაც დღეს ვიცნობთ, მე-19 საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო.^[5] ეს დასკვნა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ 19-საუკუნემდე სიტყვები „სუფრა“, „სადღეგრძელო“ და „თამადა“ არსადაა მოხსენიებული არსებულ წყაროებში, როგორებიცაა სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა, არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“, საიათნოვას ლექსები ან რომელიმე ძველ ქართულ ტექსტი. იგივე ვითარებაა უცხოურ წყაროებშიც, მაგალითად: იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტსა და ფრანგ მოგზაურ ჟან შარდენთან, რომლებიც თამადის გარეშე ჩატარებულ ნადიმებს აღწერენ. კევინ ტუიტის თქმით, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში თანამედროვე სუფრამ შუასაუკუნეების ნადიმის (ან პურობა) ჩანაცვლება დაიწყო.^[6]

ეს პერიოდი კი მე-19 საუკუნეა, როდესაც გრიგოლ ორბელიანის ერთერთ პოემაში დღევანდელი გაგებით პირველად ჩნდება სიტყვა „სადღეგრძელო“. ბრეგაძის დასკვნაა, რომ სუფრა მე-19 საუკუნის ქართული რომანტიზმის ეპოქაში არისტოკრატიულ წრეებში ჩამოყალიბდა და საუკუნის განმავლობაში მთელს საქართველოს მოედო. მისი თქმით, ეს პროცესი აღიბეჭდა იმდროინდელ ლიტერატურაშიც, კონკრეტულად კი აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალში“ და „თორნიკე ერისთავში“.^[7]

ბრეგაძის აზრით, თანამედროვე სუფრის გაჩენა და გავრცელების დამთხვევა იმდროინდელი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან შემთხვევითი არ არის. დამოუკიდებლობის დაკარგვამ გააჩინა უფუნქციოებისა და სამშობლოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობების გამო გამოწვეული ნევროზი, რომლის

განეიტრალება გახდა საჭირო. ფსიქოლოგიური კომპენსაციის ეს ფუნქცია შეითავსა სუფრამ, უფრო კონკრეტულად კი, სადღევრძელო იქცა შეუსრულებელი ვალდებულებების კომპენსაციად.^[8] ბრეგადის აზრით, სუფრისთვის დამახასიათებელი რიტუალიზირება, რელიგიურობა, თრობა და ასევე ძალისხმევის ილუზია (მკაცრი ეტიკეტის მეშვეობით ხელოვნური ბარიერების შექმნა, რათა მათი გადალახვის შემდეგ მიღწევის ილუზია გაჩნდეს) სწორედ კომპენსატორული ფუნქციის უკეთ შესრულებას ემსახურება.^[9] შედეგად სადღევრძელოს თქმა საქმის გაკეთების ტოლფასი ხდება, მაგალითად: ქვეყნის სადღევრძელო - მასზე ზრუნვის ტოლფასი, რაც თავის მხრივ სიზარმაცის გამართლებად და შეღავათად იქცევა, რომელზეც უარის თქმა არ არის ადვილი.^[10]

სუფრის წესებისა და წარმოდგენების ფოლკლორული საწყისები

სუფრის ალტერნატიული (ფოლკლორული) საწყისის იდეას გიგი თევზაძე გვთავაზობს. იგი ექვს გამოთქვამს, რომ ქართული სუფრის დღევანდელი სახით ჩამოყალიბების მიზეზი მხოლოდ უცხო მმართველობისადმი რეაქცია ყოფილიყო. მისი დაკვირვებით, დღევანდელი სუფრის სტრუქტურა მთაში ხატობებისა და დღეობების სტრუქტურას გავს, და შესაძლებელია, რომ ეს წესები საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ მთიდან ჩამოსახლებულ ხალხს ბარში ჩამოეტანა.^[11]

სუფრის დღევანდელი სახის 200 წლიან წარმოშობაზე საუბარმა შეიძლება გვიბიძგოს იმისკენ, რომ მისი ყველა დამახასიათებელი კომპონენტი ერთდროულად და ერთი და იგივე გარემოებების შედეგად ჩამოყალიბებულად მივიჩნიოთ. ამ აზრს ეწინააღმდეგება კევინ ტუიტი, რომელიც თავისი ანთროპოლოგიური ინტერესიდან და ამ კუთხით საქართველოში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ სუფრაში კარგად არის გამჭადარი ადგილობრივი ფოლკლორული წესები და წარმოდგენები.

ერთერთი ასეთი ფოლკლორული კომპონენტი, რაც ნადიმიდან დღევანდელ სუფრამდე წესით არ უნდა შეცვლილიყო, სტუმარ-მასპინძლობის ადათია, რადგან იგი მთელს კავკასიაში გავრცელებული.^[12] ამ ადათის მიხედვით, რომელსაც ყველა უპირობოდ ეთანხმება, მასპინძელი ვალდებულია მოამარაგოს და გასცეს, ხოლო სტუმარი ვალდებულია მიიღოს და დაემორჩილოს. ამის გარდა, სტუმრის მიღება მისთვის მომავალი სამაგიეროს გადახდის აუცილებლობას ქმნის და ვრცელდება მონაწილეების მთელს სოციალურ ჯგუფზე.^[13] ამ თემაზე მცირე დაკვირვება ლაურა ლინდერმანსაც აქვს, რომლის მიხედვითაც სტუმარ-მასპინძლობის წესები ძირითადად გენდერულ როლებზე უფრო წინ დგას. მაგალითად: სტუმარი ქალი არ არის ვალდებული დაეხმაროს მასპინძელ ქალებს და მიიღოს მონაწილეობა სუფრის მიხედვაში.^[14]

სუფრის კიდევ ერთი ასეთი ელემენტია თავშეკავება ძლიერი მაცდუნებლების პირობებში, როგორც დადებითი თვისება, რაც ძალიან გავს ხევესურებში გავრცელებულ იგივე ტიპის წესს.^[15] სუფრაზე ეს გამოიხატება ორი ტიპის, პოზიტიურ და ნეგატიურ შეჯიბრში (აგონიზმში). პოზიტიური აგონიზმი გამოიხატება საჭმლისა და სასმელის სიუხვეში, ასევე გრძელ და ჩახლართულ სადღევრძელოებში. ნეგატიური აგონიზმი კი გამოიხატება სიუხვისა და გადაჭარბებულობის პირობებში თავის შეკავებაში, კონტროლში და მოთმენაში.^[16] ამის მაგალითია ის, რომ არაა მიღებული გათიშვამდე სმა (ან თუნდაც სიმთვრალის რეალური დონის თავისუფლად ჩვენება), გაძლომამდე ჭამა და თუნდაც საპირფარეოში გასვლა.

ტუიტის ბოლო დაკვირვება ეხება საჯარო სივრცის აღქმას ქართულ საზოგადოებაში, როგორც მტრულის და დაპირისპირების მყუდრო პირად სივრცესთან. სუფრა ამ შემთხვევაში უსაფრთხო პირადი სივრცის განმასახიერებლის საუკეთესო მაგალითია. ეს დამოკიდებულება ხშირად რუსეთის იმპერიის და უფრო მეტად საბჭოთა კავშირის მენტალურ შთამომავლობად ითვლება ხოლმე. ტუიტის აზრით, იგი შესაძლოა კავშირში იყოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში გავრცელებულ ტრადიციულ კონცეფციებთან, რომელთა მიხედვითაც სახლი (სოფელი) დაცული სივრცეა, ხოლო მის მიღმა არსებული უცხო ტერიტორია ველური, რის გამოც იქ საკუთარი ოჯახის ან თემის საკეთილდღეოდ მარცვა (მაგალითად საქონლის ქურდობა) და მკვლევლობაც კი დაშვებულია.^[17]

„საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მაღალმთიანეთის ტრადიციულ წარმოდგენებში შედის მამაკაცების, როგორც თავისი თემის საკეთილდღეოდ სოფლისა და მის გარშემო არსებული მიწების მიღმა არსებული მოუშინაურებელი სივრცის ექსპლუატატორების, წმინდა მფარველი, მოხმობილი წმინდა გიორგის სახელით.“^[18]

დღევანდელ დღეს ეს წარმოდგენა გამოიხატება ერთი მხრივ საჯარო სივრცის არაფრად ჩაგდებაში, ვანდალიზმში ანდა საავტომობილო წესების უგულვებლყოფაში, ხოლო მეორე მხრივ პირად სივრცეში (ჩვენ

შემთხვევაში სუფრაზე) უსაფრთხოების, ნდობის და სიუხვის ხელოვნურად შექმნის დაუღალავ მცდელობაში. ტუტის აზრით, ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირს არ უნდა ბრალდებოდეს.^[19]

სუფრა საბჭოთა კავშირში

პოლ მანინგი სუფრას კონტექსტში საბჭოთა კავშირის განიხილავს. მას მიაჩნია, რომ სუფრა, მისი დღევანდელი ფორმით, და მისი კრიტიკაც კი, საბჭოთა კავშირის დროს ჩამოყალიბდა.^[20] მისი ანალიზი ეყრდნობა საბჭოთა გაზეთ „ნიანგში“ სუფრის თემაზე ათწლეულების განმავლობაში გამოქვეყნებულ კარიკატურებს. მანინგი იდეალიზირებულ მოდელების შემქმნელ რიტუალს (სუფრას) უპირისპირებს მის კარიკატურას, რომელიც პირიქით აზნაალებს და ამახინჯებს, იმ იმედით, რომ ეს წინააღმდეგობა საკითხის სრულყოფილ სურათს გამოაჩენს.^[21]

აღნიშნული კარიკატურები 60-იან წლებამდე სუფრას წარმოაჩენდა, როგორც წარმოების შემაკავებელ უკონტროლო მომხმარებლობის განსახიერებად.^[22] ამითი სუფრა, როგორც პირადი ცხოვრების ნეგატიური მფლანგველი სახე, იმიჯნებოდა სახელმწიფოსგან, როგორც პოზიტიური წარმოების საწყისისგან.^[23] მანინგის დაკვირვებით, 60-იანი წლების შემდეგ სუფრა გადაიქცა „სოციალისტური მომხმარებლობის კულტურული პირადი ცხოვრების მიღწევად“. ანუ საბჭოთა იდეოლოგიებმა თავდაპირველი უნდობლობის შემდეგ სუფრის გამოყენება გადაწყვიტეს, მას რემოდელირება გაუკეთეს და პროცესში გააძლიერეს კიდევაც.^[24] სუფრა „მართვადი სურვილების“ პროგრამის ფარგლებში კულტურული მომხმარებლობის იდეოლოგიის გასავრცელებლად იქნა გამოყენებული. ეს იყო „კამპანია რათა მასებისთვის მიეცათ მომხმარებლობის ის შესაძლებლობები, რაც დასავლურ ბურჟუაზიას ან რევოლუციამდელ არისტოკრატებს ჰქონდათ.“^[25] სუფრას აღარ წარმოაჩენდნენ, როგორც მფლანგველობის სიმბოლოდ. იგი საბჭოთა მოქალაქის სიმდიდრის და უზრუნველობის სიმბოლოდ გადაიქცა. საჭმელ-სასმელის სიუხვის გარდა, კულტურულ სუფრას დაემატა ძვირფასი ჭურჭლისა და სპეციალურად საქეიფოდ მოწყობილი ინტერიერის აუცილებლობა, და ტრადიციული ელემენტებიც კი, მაგალითად: ტრადიციული სამოსი, ცეკვა და სიმღერა.^[26] გიგა ნიჟარაძის აზრით, რომ სუფრაზე ორიგინალური სადღერძელოები მოდაში საბჭოთა კავშირში შემოვიდა, ასევე შესაძლოა ამ თემასთან იყოს კავშირი.^[27]

მანინგის აზრით, საბჭოთა სახელწიფომ შთანთქა სუფრა, „იგი ადრინდელივით მისგან ცალკე აღარ იდგა“. ეს ცვლილება ჩანს ნიანგის კარიკატურებში, რომლებიც 60-იანებამდე სუფრასა და სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობას, მათ შორის არსებულ ზღვარს ასახავდნენ, ხოლო 60-იანების შემდეგ უკვე სუფრის, როგორც ცხოვრების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილის, შიგნიდან (შინაარსის) კრიტიკაზე გადავიდნენ. ავტორის აზრით, ამგვარად საბჭოთა კავშირში მხოლოდ სუფრა კი არა, არამედ მისი კრიტიკაც შეიქმნა (დაპირისპირება კულტურულ სუფრასა და ღრეობას შორის), რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გრძელდება.^[28]

საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე სუფრის ხელოვნური გავრცელების შესახებ დაკვირვებას გიგი თევზაძე ეთანხმება. მისი აზრით, სუფრამე-19 საუკუნეში არ იყო ტოტალური, და მოსახლეობის ქვედა ფენებში საბოლოოდ გასაბჭოების მერე დამკვიდრდა, „მას შემდეგ, რაც ყველა წესის და რიტუალის დაყვანა დაბალი ფენის წესებსა და რიტუალზე იდეოლოგიური აუცილებლობა გახდა.“^[29] საბოლოოდ მოხდა ისე, რომ სუფრამ თავის „ოქროს ხანას“ საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულებში, რესურსების სიუხვის პირობებში მიაღწია, და შესაბამისად საგრძნობლად შესუსტდა 90-იან წლების უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების დროს.^[30]

თავი II: თეორიები სუფრის ფუნქციის შესახებ

სუფრა და ნაციონალური იდენტობა

გერმანელი მკვლევარი ფლორიან მულფრიდი ეთანხმება ლევან ბრეგაძეს სუფრის მე-19 საუკუნეობრივი საწყისის შესახებ, თუმცა იგი არაფერს ამბობს სუფრის ფსიქოლოგიურ კომპენსატორულობაზე.

მულფრიდი სუფრის დღევანდელი ფორმის წარმოშობის მექანიზმს შემდეგნაირად აღწერს; საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ გაჩნდა კულტურული განმასხვავებლის არსებობის აუცილებლობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ რელიგიამ, რომელიც სხვა დამპყრობლების შემთხვევაში განმასხვავებლის ფუნქციას წარმატებით ასრულებდა, რუსეთის იმპერიასთან მიმართებაში იგივე ვეღარ შეძლო. შესაბამისად, ეს ფუნქცია დაეკისრა რელიგიის შემდეგ ყველაზე ძლიერ, ფოლკლორზე დაფუძნებულ განმასხვავებელს, ანუ სუფრას.

სუფრის ახალი ფორმა [სადღეგრძელოს როლის გაძლიერება და თამადის ინსტიტუტის შემოღება] თავდაპირველად არისტოკრატიულ წრეების წევულებებზე გაჩნდა, და შემდგომ მთელს ქვეყანას მოედო. ავტორისავე სიტყვებით: „რუსეთის [მიერ საქართველოს] ანექსიის შემდეგ სადღეგრძელოს საშუალებით წარსულის გახსენება ნაციონალური განათლების საშუალება გახდა.“ საბოლოო ჯამში სუფრას „ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისა და გაძლიერების ფუნქცია“ ჩამოუყალიბდა.^[31]

მულფრიდი აღწერს კონკრეტულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც სუფრა ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას ემსახურება. პირველ რიგში ეს არის მისი სიძველისა და ტრადიციის სტატუსი, რომელიც აიძულებს მონაწილეებს წინაპრებისგან ბოძებული საქმიანობის უპირობოდ გაგრძელებას. ამის გარდა, სუფრის წარმატებით ჩასატარებლად წესების მხოლოდ ფორმალურად შესრულება არ არის საკმარისი, „მონაწილე ვალდებულია მოახდინოს სუფრის ფორმულების თავის პირად ჰაბიტუსში ინტეგრირება [შეისისხლხორცება]“.^[32] „სადღეგრძელოს მთქმელი თავის თავს აქცევს წარსულიდან მომდინარე მესიჯის ავტორად, იგი აკავშირებს წარსულს და აწმყოს. საუბარი იქცევა თამაშად [თეატრი] და ტრადიციისა და ისტორიის „კეთების“ საშუალებად“.^[33]

სუფრის მატერიალური შემადგენელი ნაწილებიც ზემოთ აღნიშნულ ფუნქციას ასრულებენ. ღვინო წარმოჩენილია როგორც ქართული სისხლი, რომლის დაღვევის შემდეგაც სუფრის უცხო დამსწრე წევრები ნათესავეები ხდებიან.^[34] საჭმლის შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ შიგადაშიგ სუფრის მენიუებს შორის განსხვავებები არის, ძირითადად ისინი განსაზღვრულია და მონაწილეებმა წინაწარ იციან რა მოელით. შესაბამისად, სუფრის მენიუც „ნაციონალური იდენტობის კულინარიულ კოდად“ შეიძლება ჩაითვალოს.^[35]

საჭმლის, როგორც ნაციონალური იდენტობის გამამდიერებელი მექანიზმის, სიმძლავრე განსაკუთრებით ქართულ დიასპორაში შეიმჩნევა, სადაც მაგალითად ტყემალი იძენს „საქართველოს გემოს“ და ქართველების „მესამე სისხლს“ სტატუსს.

აღსანიშნავია, რომ მულფრიდს ნაციონალური იდენტობის გამყარება სუფრის ერთადერთ ფუნქციად არ მიაჩნია. მისი აზრით, ამ ფუნქციამ განაპირობა მისი დღევანდელი ფორმით წარმოშობა, თუმცა დღეს მას მრავალი სხვა დატვირთვაც აქვს. სუფრა მისი მონაწილეებისთვის ნებისმიერი სხვა ტიპის მნიშვნელოვანი იდენტობის, ასევე იერარქიის, გენდერული როლების, ძალაუფლების და სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი და გამამდიერებელი კულტურული ინსტიტუციაა.^[36]

ქართული იდენტობის შექმნა/შენარჩუნების ფუნქცია ყველაზე კარგად ალბათ სუფრის მასოციალიზირებელ ასპექტში გამოიხატება, რის არსებობას და მნიშვნელობას ბევრი მკვლევარი აღნიშნავს. მაგალითად, კევინ ტუიტი ან პაატა გურგენიძე, რომელიც სუფრას აღწერს, როგორც „ქართველად მონათვლის განმეორებადი და დაუსრულებელი პროცესი“,^[37] და „მონოპოლიის მქონე სოციალიზაციის ინსტრუმენტი“.^[38]

სუფრა და ნაცნობობის ქსელი

იოქანან ალტმანი სუფრას ორი მიმართულებით განიხილავს. პირველი უფრო მეტად ეკონომიკურია და ეხება საბჭოთა საქართველოს პერიოდს, უფრო კონკრეტულად კი, ცენტრალიზებული მართული ეკონომიკის რეალობას.

ამ კონტექსტში ალტმანი სუფრას ხედავს, როგორც მთავარ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ქმნიდნენ და ინარჩუნებდნენ თავიანთ „პერსონალურ სოციალურ მხარდაჭერის ქსელს“ (Personal Social Support Network – PSSN), უფრო მარტივად - ნაცნობობის ქსელს, რომელიც საბჭოთა საქართველოში (და უფრო მსუბუქი ფორმით საბჭოთა კავშირში შემავალ დანარჩენ რესპუბლიკებშიც) ჩამოყალიბდა, როგორც არსებულ ეკონომიკურ სისტემასთან გამკლავების საშუალება.^[39]

ნაცნობობის ქსელი შედგება ინდივიდისგან (ეგოსგან), ანუ ცენტრისგან, მისი უშუალო ოჯახის წევრებისგან და ახლო მეგობრებისგან. იგი მუშაობს დახმარებების (favor) კომპლექსური სისტემის მეშვეობით, სადაც წევრებს შორის დახმარების მიღების და გაცემის ღია და უწყვეტი ურთიერთობა მოქმედებს. წევრები ვალდებულნი არიან დახმარების მიღების შემდეგ მოგვიანებით სამაგიერო გადაიხადონ, რომელიც იშვიათად არის პირველადი დახმარების პროპორციული და შეიძლება მის უშუალო გამცემის მაგივრად მისი ნაცნობობის ქსელის სხვა წევს შეეხოს. შედეგად ასეთი ტიპის ურთიერთობა დაუსრულებელ ხასიათს ატარებს.^[40]

ალტმანი ნაცნობობის ქსელის სამ ფუნქციას გამოყოფს. პირველი საქონლისა და სერვისების მოპოვებაა. ცენტრალიზებულ ეკონომიკაში, სადაც საქონელი, მათ შორის ყოველდღიური მოხმარების საგნებიც კი, ცოტაა და ძნელად ხელმისაწვდომი, მხოლოდ ფული არ არის საკმარისი მათ მოსაპოვებლად და საჭირო ხდება ნაცნობობის გამოყენება.^[41]

მეორე ფუნქცია გაუთვალისწინებელი და/ან უბედური შემთხვევებთან გამკლავებაა. ერთი მხრივ ნაცნობობის ქსელში საჭირო ადამიანების ყოლა გარკვეული საფრთხეების მიმართ მთლიან იმუნიტეტს იძლევა, თუმცა, თუ მაინც მოხდა რამე, „გასაჭირის დროს [ნაცნობობის] ქსელს, როგორც სარეზერვო ფონდს, დიდი რესურსის მობილიზება შეუძლია. მას შეუძლია გაფართოვდეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმამდე და მოიცვას ათობით ადამიანი, რომელთა უმეტესობა, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება არც იცნობდეს დახმარების მიმღებ პროტაგონისტს.“^[42]

მესამე ფუნქცია პროფესიის არჩევასთან არის კავშირში. ალტმანის კვლევიდან ირკვევა, რომ კონკრეტული სახის პროფესიასა და მისი მფლობელის ნაცნობობის ქსელის სიძლიერის, მთლიანი შემოსავლის და რისკების სიდიდეს შორის თითქმის პირდაპირი კორელაციაა. ადამიანი პროფესიას ირჩევდა პირადი ქსელის მოთხოვნილებების და მისი დადებითი მხარეებისა და რისკების გათვალისწინებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში ნაცნობობის ქსელის წევრების დახმარებით კონტროლდება.^[43]

ალტმანს მიაჩნია, რომ „საქართველოში არსებული [ნაცნობობის] ქსელის ტიპი გაიზარდა და მომწიფდა [სწორედ] ცენტრალიზებული მართული ეკონომიკის იდეალურ გარემოში“.^[44] ძლიერი ნაცნობობის ქსელის ქონა აუცილებელი იყო შემოსავლის, უსაფრთხოების და პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, ასევე საქონლისა და სერვისების მოსაპოვებლად, ბიუროკრატიაში სანავიგაციოდ და გაუთვალისწინებელი შემთხვევების და რისკების სამართავად.

როგორც უკვე ითქვა, ალტმანის აზრით, ნაცნობობის ქსელის აგება და შენარჩუნება სწორედ სუფრის მეშვეობით, მეგობრობის უწყვეტი დადასტურებითა და ერთმანეთის მიმართ ერთგულებისა და ვალდებულებების დარწმუნებით ხდებოდა. მისი სიტყვებით: „[სუფრა] პატივის გადანაწილების ფორმალიზებული სისტემაა.“^[45] ამის გამო ალტმანი სუფრას აღწერს, როგორც საბჭოთა საქართველოს მეორადი ეკონომიკის ცენტრს.^[46] სუფრის ერთი თვისება, დამსწრე ინდივიდები აუცილებლად აღიქვას რომელიმე სოციალური ჯგუფის (ოჯახის ან ნაცნობობის ქსელის) ან ორგანიზაციის წარმომადგენლებად, ასევე ხელს უწყობს ინდივიდებთან ერთად მათ მიერ წარმოდგენილი ჯგუფებიც დაკავშირებას.^[47]

ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, როგორც სუფრის მთავარი ფუნქცია, ხშირად მისი მონაწილეების მიერაც არის აღიარებული.^[48] სუფრის მეშვეობით შესაძლებელია გამოსადეგი ინდივიდების მოზიდვა და ნაცნობობის ქსელში მათი შემოერთება. ასევე შეიძლება ქსელის რომელიმე წევრის ლოიალობის შემოწმება, მაგალითად სავალდებულო სუფრებზე მისი დასწრება არ დასწრების გაანალიზებით.^[49]

ალტმანის თეორიაში კარგად ჯდება მანინგის მიერ აღწერილი სუფრის თვისება ქრთამი წარმოაჩინოს საჩუქრად. იგი განიხილავს ეგრედ წოდებულ „მადარიჩს“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საჭმლით მოქრთამვა, ანუ სუფრა, რომელიც მომავალში სხვა რაიმე სერვისის მიღების სანაცვლოდ არის გამართული. საქმე იმაშია, რომ პირდაპირ ფულის მიცემისგან განსხვავებით, საჭმლით გამასპინძლება და მის ათვისებაში მონაწილეობის თავად მიღებაც ქრთამს და საჩუქარს შორის ზღვარს ბუნდოვანს ხდის.^[50] შედეგად ასეთი ტიპის ქრთამი მორალურად გამართლებულად ითვლება. სუფრის ამ თვისებაზე ემზარ ჯგერენაიაც წერს, იმის დამატებით, რომ ქართულ სუფრაზე ღმერთის მოსყიდვის ტრადიციაც სავალდებულო რიტუალად არის ქცეული.^[51]

მეორე მიმართულება, რომლის მიხედვითაც ალტმანი სუფრას განიხილავს, უფრო მეტად სოციალურია და ეხება ქართული საზოგადოების მიკუთვნებას ეგრედ წოდებული „ღირსებისა და სირცხვილის საზოგადოებების“ რიგებში.^[52] ასეთი საზოგადოებები ხასიათდება ჩვენებისა და მოხმარების ექსტრავაგანტული გამოყენებითა და მისი წევრების მუდმივად „სცენაზე“ ყოფნით, როდესაც, განსაკუთრებით კაცებს, თავისი კაცობის მუდმივი მტკიცება უწევთ. ამ თვისებების გათვალისწინებით სუფრა ყველაზე გავრცელებული საშუალებაა კაცობის გამოსადეგლად და ზოგადად სოციალური სტატუსის/მდგომარეობის საჩვენებლად.

ალტმანის დაკვირვებით ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონკურენციასა და თანამშრომლობას შორის ჭიდილის საკითხს. ერთი მხრივ არსებობს თვალშისაცემი აქცენტი კონკურენციაზე (როგორც დადებით ან სასურველ მოვლენაზე), ხოლო მეორე მხრივ არსებობს თანამშრომლობის ძლიერი საჭიროება.^[53] ალტმანის აზრით, სუფრა ამ წინააღმდეგობის შერიგებას უწყობს ხელს.

კონკურენცია სუფრაზე გამოიხატება როგორც მატერიალურ ნაწილში (საჭმლის რაოდენობა და მრავალფეროვნება, სუფრებისთვის სპეციალურად მოწყობილი ოთახი, ძვირფასი საჩვენებელი საგნები) ისე მონაწილეების ქცევაში (სუფრის წესების შესრულება, სადღეგრძელოების თქმა, დალეული ღვინის რაოდენობა).^[54]

თანამშრომლობა გამოიხატება სუფრის მომზადების, მომარაგებისა და ალაგებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ძალისხმევის მობილიზაციაში. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ კაცები მეტად არიან ორიენტირებულნი კონკურენციაზე, ხოლო ქალები - თანამშრომლობაზე, თუმცა ალტმანი იქვე აღნიშნავს, რომ ყოველთვის ასე არ არის.^[55]

ალტმანის დაკვირვებით, სუფრის ფუნქციაა „ადამიანების დაკავშირება და მათი საერთო ინტერესების კონსოლიდაცია, მაშინ, როდესაც მონაწილეები ბუნებრივ მდგომარეობაში ეგოისტური ამბიციებით, მაჩოს ტიპის

აგრესიულობითა და ფესვგადგმული დაუმორჩილებლობით ხასიათდებიან. სუფრა არაცივილიზებულ ინდივიდებს ცივილიზებულ კოლევიალობად აქცევს.”^[56]

ბოლოს ჩნდება კითხვა: რატომ ხარჯავს ხალხი ამდენ რესურსს სუფრის გასამართად? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ღირსებისა და სირცხვილის საზოგადოებაში ღირსებისა და პრსტიჟის ერთერთი მთავარი გამომხატველი სწორედ საჩვენებელი მომხმარებლობაა. ამის გამო, საბოლოო ჯამში, „სუფრისთვის გაწეული ხარჯები არა გაფლანგული რესურსი, არამედ გონივრული ინვესტიციაა, სადაც მატერიალური რესურსი გარდაიქმნება სოციალურ რესურსად, რომელიც მომავალში მეტი მატერიალური რესურსის მოსაპოვებლად შეიძლება იყოს გამოყენებული“.^[57]

თავი III: გენდერის საკითხი სუფრის კონტექსტში

სუფრის ძირითადი მკვლევარები გენდერის საკითხს დიდ ყურადღებას არ უთმობენ, იქნება ეს ტუიტი, რომელიც ამბობს, რომ სუფრას შესაძლებელს ხდის ქალების ჩრდილოვანი (უხილავი) გარჯა,^[58] კოთჰოვი, რომლის აზრითაც „ქალებს მხოლოდ თამადაობის თამაში შეუძლიათ“,^[59] თუ მანინგი ან გიგა ნილარაძე, რომელთა აზრითაც ქალები სუფრის წესებისგან და ვალდებულებებისგან თავისუფალნი არიან.^[60]

გენდერის საკითხზე ვრცლად ლაურა ლინდერმანი საუბრობს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სუფრის იდეალიზირებულ ვერსიას, რომელშიც კაცები არიან ცენტრში, ხოლო ქალები უფუნქციო და წესებისგან თავისუფალნი ჩანან.^[61] სინამდვილეში, „სუფრისთვის მომზადების გარშენო სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია ორიენტირებული“.^[62] სადაც სწორედ ქალები არიან ცენტრში.^[63]

სუფრის მომზადების დროს ქალებს უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ მენიუს, სუფრის ვიზუალური მხარის და რესურსების მენეჯმენტის შესახებ.^[64] ისინი დიდწილად ზრუნავენ ზოგადად სუფრისთვის შესაფერისი გარემოს შექმნაზე. ამ დროს ასევე ხდება ფუნქციების გადანაწილება, იერარქიის დადგენა, კომუნიკაცია, ცოდნის გაცვლა და ურთიერთობის გაღრმავება.^[65]

ის ფაქტი, რომ სუფრის ძირითადი მკვლევარები კაცები არიან, მათ ავტომატურად უკეტავს კარს ქალების სამყაროში. ისინი ძირითადად უკვე გამზადებულ სუფრას უსხდებიან და ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ უშუალოდ მაგიდასთან დასხდომამდე, სუფრის დროს სამზარეულოში და სადღეგრძელოების დამთავრების, სუფრის დაშლის შემდეგ მიმდინარე პროცესებს. ამის გამო ისინი სათანადო ყურადღებას ვერ (ან არ) აქცევენ ქალების მხარეს, რის შედეგადაც მათ მიერ სუფრის შესწავლა არასრული გამოდის.^[66]

სუფრასთან მიმართებაში ქალებს და კაცებს ცალკე სფეროები და განსხვავებული ვალდებულებები აქვს. ძლიერი პატრიარქალურობის გამო აღნიშნული სფეროების გადაკვეთის მისაღები მიმართულება ცალმხრივია, ქალებიდან კაცებისკენ.^[67] ქალს შეუძლია მოიქცეს კაცივით (მაგალითად იყოს თამადა), თუმცა კაცისთვის მიუღებელია ქალის როლის შეთავსება (მაგალითად დაიწყოს თეფშების გამოცვლა). ქალისთვის კაცურად მოქცევა შესაძლოა (დროებით მაინც) გამაძლიერებელი ქმედება იყოს, თუმცა ამ დროს იგი ემსგავსება კაცს (როგორც მინიმუმ კაცების თვალში) და კარგავს ქალურობას.^[68] ლინდერმანი ასკვნის, რომ ქალებს თავისი წესები და სამყარო აქვთ, რომლის ერთი-ერთი წესი სწორედ კაცების სივრცეში არ ჩარევაა. წარმოდგენა მათი უფუნქციობის შესახებ კი, მას მიკერძოებულობის მანიშნებლად მიაჩნია.^[69]

ლინდერმანი ვარაუდობს, რომ სუფრის ძირითადი მკვლევარები მისი თვითიდეალიზაციის ეფექტის (სუფრაზე წარმოჩენილი სუფრისავე აბსტრაქტული და იდეალური სახე, როგორც ექსკლუზიურად კაცების საქმიანობა) გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი, რაც ამ სოციალური პრაქტიკის სინამდვილესა და სირთულეს მაღავს.^[70] მიუხედავად იმისა, რომ სუფრას თავისი თავი უცვლელად და შეურყევლად მიაჩნია, რაც ხშირად მის აქტიურ თვითრეგულირებადობაშიც გამოიხატება,^[71] რეალურად სუფრის წესებთან მიმართებაში კომპრომისები მუდმივად ხდება, რის გამოც ლინდერმანს მიაჩნია, რომ ნორმიდან გადახვევების შესწავლა უფრო მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი იქნებოდა.^[72]

თავი IV: სუფრის მიმართ მიდგომები და მისი კომპონენტები

სადღეგრძელო

გერმანელი ლინგვისტი ჰელგა კოთჰოვი ქართულ სადღეგრძელოებს განიხილავს. სადღეგრძელო მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული სოციალური აქტია და მას ყველა შემთხვევაში ახასიათებს მაფორმალიზებული ხასიათი (მისი ფორმა განსაზღვრავს შეკრების ფორმალურობის ხარისხს), ექსკლუზიურად დადებითი შინაარსი (მესიჯი

უნდა იყოს დადებითი: დაფასება, სიმპათია, სიყვარული), და ფორმის უპირატესობა შინაარსზე (უფრო მნიშვნელოვანია როგორ იტყვი, ვიდრე რას).[73]

საქართველოს შემთხვევაში სამივე ჩამოთვლილი დამახასიათებელი უკიდურესობამდეა აყვანილი: სადღეგრძელოს ენა ყოველდღიური სასაუბრო მეტყველების ნაკადიდან მკაფიოდაა გამოყოფილი და მასზე უპირატესობას ფლობს; მისი დადებითი შინაარსი ხშირად გაზვიადებულია, რაც სუფრის მონაწილეებმაც იციან; „სადღეგრძელოს წარმომთქმელთა შორის შეჯიბრი იშვიათად მიმდინარეობს შინაარსის დონეზე, როგორც წესი, ის ფორმის დონეს არ სცილდება“.[74] ქართულ სუფრაზე ამ სამს კიდევ ემატება გადაჭარბებული პათეტიკური საუბრის სტილი და რელიგიური ასპექტი.[75]

კოთხოვის დაკვირვებით, სუფრის ჩარჩოში ქართველ კაცებს ეძლევათ საშუალება გადმოაფრქვიონ გრძნობები და სადღეგრძელოების მეშვეობით ემოციურად იმუშაონ.[76] მრავალი ლინგვისტური ტექნიკით აღჭურვილი სადღეგრძელოებით ისინი ერთგვარ ეთნოპერფორმანსს დგამენ.[77] რომელიც შემდეგ მიზანს ემსახურება: „ცერემონიის პროცესში ხდება [საერთო შეფასებითი] დამოკიდებულების მუდმივი დადასტურება, განახლება და განმტკიცება... ვინც საზოგადოების მიერ აღიარებულ ფასეულობებს უკეთეს ენობრივ გამოხატულებას მოუძებნის, ის მოიპოვებს სუფრასთან მსხდომთა აღიარებას.“[78]

მაგრამ რატომ აქვს სადღეგრძელოს ასეთი დიდი მნიშვნელობა და ძალა? ამ კითხვაზე ემზარ ჯგერენაია პასუხობს: სადღეგრძელოს, როგორც ორალური კულტურის მაგალითის, მნიშვნელობას და ეფექტურობას განაპირობებს ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი თვისება: „დაუწერელის პრიორიტეტი დაწერილზე“, ანუ როდესაც დაწერილ კანონებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვთ და ვერ ახდენენ გავლენას ყოფაზე.[79] ემზარ ჯგერენაიას აზრით, ეს ასე იმიტომაცა, რომ საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა რეფორმაციის ეკვივალენტი ცვლილება, რომლის შედეგადაც საღვთო წერილი და ყოფა ერთმანეთს დაუახლოვდებოდა, რელიგია განთავისუფლდებოდა რიტუალისგან, ხოლო ყოფის ელემენტები შეიძენდნენ რელიგიურ მნიშვნელობას, რაც საბოლოო ჯამში მორალური იძულების ძალას შესძენდა დაწერილ კანონს.[80]

სასმელი

უცხოელი მკვლევარების მიერ სუფრა ყველაზე მარტივად აღიწერება, როგორც „ღვინის [ან ზოგადად ალკოჰოლური სასმელის] რიტუალური მოხმარება“.[81] სუფრაზე ამ მხრივ იერარქია არსებობს. პირველ ადგილასაა ღვინო, შემდეგ მოდის არაყი და შამპანური და სულ ბოლოს ლუდი, რომელიც ხშირად სუფრისთვის შეუფერებლად მიიჩნევა.[82]

მულფრიდი ასევე საუბრობს ღვინოსა და ლუდს შორის განსხვავებებზე, რომელიც პოტენციურად მათ შორის კონკურენციის გამააქტიურებელი შეიძლება იყოს. ღვინო ექსკლუზიურად სუფრაზე მოსახმარი, ფორმალური და დამავალდებულებელი სასმელია, ხოლო ლუდი უფრო მასიურად იწარმოება და მისი მოხმარების წესიც თავისუფალია.[83]

უდავოა, რომ ალკოჰოლის გარეშე სუფრა შეუძლებელია, თუმცა თრობის შედეგად გამოწვეული ქაოსი უკონტროლო გართობის გარდა სხვა ფუნქციას წარმატებით ვერ შეასრულებს, თუნდაც პოტენციური კონფლიქტების გამო. კოთხოვის დაკვირვებით, სწორედ სადღეგრძელოს მაფორმალიზებელი ეფექტი აბალანსებს ალკოჰოლის მიერ გამოწვეულ ქაოსს, რათა შედეგად მივიღოთ „კონსტრუქციული სმა“.[84]

შიდა და გარესისტემური აღქმები

ზაზა შათირიშვილი მის ერთ საინტერესო დაკვირვებაზე წერს, კერძოდ ორ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომაზე სუფრის (ან ნებისმიერი სხვა სისტემის) მიმართ, სადაც ერთი მხრივ იგი აღქმულია როგორც მკაცრი და ერთფეროვანი, ხოლო მეორე მხრივ ლაღი და იმპროვიზაციული. შათირიშვილის თქმით, პირველი მიდგომა წარმოადგენს გარესისტემურ აღქმას, მაგალითად სუფრაზე პირველად მოხვედრილი უცხოელის, რომლისთვისაც სტრუქტურა და ნორმა უფრო მეტადაა შესამჩნევი. მეორე მიდგომა წარმოადგენს შიდასისტემურ აღქმას, მაგალითად აქტიური მოქიეფის, რომელიც (ერთი სუფრიდან მეორემდე) უფრო მეტად ამჩნევს ცვლილებებს და ნორმისგან გადახვევებს. შედეგად შიდასისტემური აღქმის მქონე ადამიანს ეჩვენება, რომ არის ვარიაცია, ხოლო გარესისტემურისას - რომ არის სიმკაცრე და ერთფეროვნება.[85]

სუფრის შემთხვევაში შიდასისტემური აღქმის ადამიანი მას აღიქვამს, როგორც ლაღს და ცოცხალს, ხოლო გარესისტემური - როგორც განმეორებადს და მკვდარს. ეს დაკვირვება საინტერესოა, რამდენადაც ავტორის აზრით, შიდა და გარესისტემურ აღქმებს შორის არცერთს არა აქვს პრივილეგია, მათ შორის არ არის ღირებულებითი განსხვავება. ისინი ორივე ინფორმაციულია, რის გამოც კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.[86]

უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ზაზა შათირიშვილის აზრით, სუფრის შემთხვევაში გარეისტიკური აღქმა სიახლეა და ემთხვევა ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის დაწყებას.^[87] დღევანდელ დღეს ამ ორი რადიკალური პოზიციის თანაარსებობა კრისისის მანიშნებელია, რომელიც ბუნებრივად არის გამოწვეული მომხდარი რადიკალური (პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური) ცვლილებების გამო სუფრის, როგორც ერთერთი ცენტრალური ტრადიციული ინსტიტუციის როლის და ფუნქციის შერყვევის შედეგად. ავტორის აზრით, „რადიკალურმა ცვლილებებმა გვაიძულა დაგვეწყო რეფლექსია საკუთარ თავზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ ტრადიციული ქართული საზოგადოება „ცივი“ და სტატიკური კულტურების რიგიდან „ცხელი“ და დინამიკური კულტურების რიგს უერთდება.“^[88]

აგენტი და სტრუქტურა

სუფრის კვლევა საინტერესო უნდა იყოს სტრუქტურასა და აგენტს შორის პრიმატის განხილვის კუთხითაც. ანუ ერთი მხრივ რამდენად განსაზღვრავს სუფრა, როგორც სოციალური ინსტიტუცია, ინდივიდების მსოფლმხედველობას, იდენტობას და აზროვნებას, ხოლო მეორე მხრივ რამდენად არის ის უბრალოს მეთოდი, მექანიზმი და საშუალება, რომლითაც ინდივიდები გამოხატავენ თავის გრძნობებს, იდენტობას და მსოფლმხედველობას, იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს და აღწევენ უფრო პრაქტიკულ მიზნებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილული მკვლევარებიდან ორივე მიდგომის მომხრეები არიან, თუმცა ეს თემა არსადაა ცალკე განხილული. მაგალითად: მულფრიდი უფრო მეტად სუფრის განსაზღვრელ თვისებებზე საუბრობს, ხოლო ლინდერმანს მიაჩნია, რომ სუფრის მოქნილობის გამო მისი მონაწილეები მას მრავალი სხვადასხვა მიზნის მისაღწევად იყენებენ.^[89]

თავი V: კრიტიკა და პროგნოზები

კრიტიკა

გია ნოდის კრებულში მოცემულ ნაშრომებში ერთი მეორის კრიტიკაც შედის. მაგალითად, გიგა ნიჭარაძისა და პაატა გურგენიძის შენიშვნა ლევან ბრეგაძის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ სადღეგრძელო, თუნდაც იგი გამოხატავდეს საქმეს, კომპენსატორულ ფუნქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ მისი შინაარსობრივი ობიექტი რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად შესრულდება.^[90] ყველაზე მეტად ამ კატეგორიაში სამშობლოს სადღეგრძელო ჯდება, „საქართველოს სადღეგრძელოს რომ კომპენსატორული ბუნება ჰქონდეს, დღე და ღამე ამ სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ“,^[91] რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ყველაზე საინტერესო და ფართო კრიტიკა გიგი თევზაძეს ეკუთვნის. იგი უარყოფს სუფრის ფსიქოანალიზის მცდელობებს (მაგალითად ლევან ბრეგაძის მიერ აღწერილ კომპენსატორულ ფუნქციას) და იმ აზრს, რომ სუფრა საზოგადოებრივი პროტესტის შედეგად გაჩნდა. თევზაძე მათ ფსიქოლოგიზმის გამოვლინებებად მიიჩნევს, რაც მას სოციალურ თეორიაში უადგილოდ მიაჩნია.^[92] მაგალითად, ერთერთი მიზეზი, რატომაც ფსიქოლოგიზმი არ გაამართლებს სუფრის ახსნაში, არის ის ფაქტი, რომ შეუძლებელია მე-19 საუკუნეში ქართველ ერზე, როგორც საერთო განცდებისა და რეაქციების მქონე ერთიან ერთეულზე საუბარი.

გიგი თევზაძე ასევე ზოგადად იმ დამოკიდებულებას აკრიტიკებს, რაც ბრეგაძის კვლევამ სუფრის ასაკთან დაკავშირებით შექმნა. მისი თქმით, ის სიხარული, რომ თურმე სუფრა მხოლოდ 200 წლის ყოფილა იმ ცრურწმენის პროდუქტია, რომლის მიხედვითაც სიძველე განსაზღვრავს ნამდვილ ქართველურობას, და თავისთავად ანალიზს საჭიროებს.^[93]

და ბოლოს, აკაკი ყულიჯანიშვილის ნააზრევი სუფრის მრავალფუნქციურობაზე შესაძლოა აქ მიმოხილული მკვლევარების უმეტესობის კრიტიკადაც. მკვლევარის აზრით, „კულტურის რთული სინთეზური ფენომენები [როგორცაა სუფრა] ერთ დღეში ან თუნდაც ერთ ეპოქაში არ ყალიბდება“.^[94] ანუ სუფრამ მისი ფუნქციები სხვადასხვა ეპოქაში, გარემოებების ცვლილებიდან გამომდინარე შეიძინა. მისივე სიტყვებით: „დროთა განმავლობაში სუფრას ემატებოდა სოციო-კულტურული გამოცდილები პლასტები“.^[95] ამ აზრის გათვალისწინებით, გამოდის, რომ სუფრის კვლევა კიდევ უფრო კომპლექსურად უნდა ხდებოდეს.

„ქეიფის“ პრობლემა

არის საკითხები, რომლებსაც სუფრის მკვლევარები საკმაოდ განსხვავებულად ხედავენ. ამათ შორის ყველაზე თვალსაჩინო სიტყვა „ქეიფის“ მნიშვნელობაა. მულფრიდის აზრით, ქეიფი სუფრის სტადიაა, რომელიც ბოლოსკენ დგება და წესებისგან უფრო მეტი თავისუფლებით ხასიათდება ვიდრე მისი დასაწყისი.^[96] ალტმანიც იგივე აზრზეა. მისი თქმით, ქეიფი სუფრის სტადიაა, როდესაც მონაწილეები უკვე მთვრალეები არიან და ან ძალიან ზოგად ან ძალიან კონკრეტულ სადღეგრძელოებს ამბობენ.^[97] თუმცა არსებობს აზრი, რომ ქეიფი მონაწილეების მიერ მიღწევადაც სიმთვრალისა და თავისუფლების მდგომარეობაა, რომელსაც შეიძლება ყველამ სხვადასხვა დროს, ან საერთოდ არ მიაღწიოს. „სუფრა იწვევს (წარმოშობს) ქეიფს, გონების ეიფორიულ, სადღესასწაულო მდგომარეობას, რომლის დროსაც შესაძლებელია შემაკავებლებისგან განთავისუფლება და ემოციების შეკავების გარეშე საჯაროდ საუბარი და სიმღერა.“^[98]

არსადაა ნახსენები სუფრისა და ქეიფის ხშირი სინონიმური ხმარება, რომელიც „სუფრისგან“ განსხვავებით „ქეიფის“ ზმნად ხმარების შესაძლებლობიდან გამომდინარეობს (მაგ.: „ვიქეიფოთ“).

პროგნოზები და მოლოდინები

სუფრის მომავალთან დაკავშირებით მკვლევარებს განსხვავებული მოლოდინები და პროგნოზები გააჩნიათ. კევინ ტუიტიც გია ნოდის მსგავსად სვავს კითხვას: არის თუ არა აუცილებელი გადასავლურებისთვის სუფრაზე უარის თქმა. პასუხად იგი ყურადღებას ამახვილებს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მომხდარ ცვლილებებზე. მას მიაჩნია, რომ ეკონომიკური სიღრმეჭირის ფაქტორი არ უნდა იყოს იგნორირებული. გაჭირვებამ საჯარო სივრცე უფრო მეტად მტრული გახადა, რის გამოც სუფრის მნიშვნელობას, როგორც დაცული პირადი სივრცის შემქმნელის, არ უნდა დაეკარგა აქტუალურობა.^[99] თუმცა აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სუფრის ამ როლს დაასუსტებს.

ტუიტის აზრით, სუფრას სერიოზული პოტენციური „საფრთხე“ ქალების, ანუ მისი „ჩრდილოვანი (ვარული) მუშების“ მხრიდან ემუქრება, რადგან მათ მიერ გაწეული სამუშაოს გარეშე სუფრა ვერ იარსებებს.^[100]

ნოდია და მულფრიდი ვარაუდობენ, რომ დღევანდელ რეალობაში სუფრამ შესაძლოა გლობალიზაციის მოწინააღმდეგის (მისგან თავშესაფრის) როლი შეითავსოს.^[101] ემზარ ჯგერენაიას აზრითაც, „დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ „დაჩეხილი“ სუფრის ფარგლებში.“^[102]

პაატა გურგენიძის აზრით, დემოკრატიაზაცია სუფრას კი არ გააქრობს, არამედ დროთა განმავლობაში მის ფორმას გამოიყენებს, და შესაძლოა მისი საშუალებით გავრცელდეს კიდევაც.^[103] ეს მოსაზრება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ემზარ ჯგერენაიას დაკვირვებას ქართული კულტურის ორი თვისების შესახებ: პირველი, სიახლეების „გასუფრება“ (სუფრის სტრუქტურაში ინტეგრირება), რითაც მათი პროფანაცია ხდება; და მეორე, ამავე დროს ყველაფერი უცხოს (ანუ იმის, რაც ვერ „გასუფრდება“) მიუღებლად გამოცხადება.^[104]

აკაკი ყულიჯანიშვილის აზრით, დემოკრატიაზაცია მოიტანს იმას, რომ სუფრას თავისუფალი ბაზრის პირობებში ახალ-ახალ კონკურენტებთან (მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებასთან) ჭიდილი მოუწევს.^[105] ამის კარგი მაგალითებია უკვე არსებული კონკურენცია ღვინოსა და ლუდს შორის, და ალაფურშეტის, როგორც სუფრის საპირისპირო სტრუქტურის მქონე კონკურენტის, მზარდი პოპულარობა.^[106] ემზარ ჯგერენაიას აზრითაც, „სუფრის მოქმედების არეალი მცირდება და შემოდის ახალი ტიპის ურთიერთობები“;^[107] ასევე ჩნდება ახალი ტიპის, „პრეზენტაცია-ალაფურშეტის ქართველი“.^[108]

როგორც უკვე აღვნიშნე, ზაზა შათირიშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ სუფრის შესახებ დაპირისპირებული მიდგომები გაჩნდა, მომავალში აქტიური ცვლილებების მანიშნებელია.^[109]

და ბოლოს, ალტმანის თეორიიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცენტრალიზებული მართული ეკონომიკის კაპიტალისტური სისტემით შეცვლას სუფრა უნდა ამოეგდო მეორადი ეკონომიკის ცენტრის პოზიციიდან. ალტმანის მიერ აღწერილი სუფრა აღმოცენდა გარემოში, რომელიც ხასიათდებოდა მეორადი ეკონომიკის სიდიდით, მატერიალური საქონლისა და სერვისების ნაკლებობით, ბიუროკრატიული ბარიერებითა და მერიტოკრატის არ არსებობით. ლოგიკურია, რომ აღნიშნული პრობლემების ნელ-ნელა მოხსნამ სუფრის როლის შემცირება გამოიწვიოს.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი და მისი შერჩევის მიზეზი

სუფრის საკვლევად გამოყენებულია კროსსექციული რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. ამის მიზეზი სუფრის შესახებ რაოდენობრივი კვლევის არარსებობა გახდა. ნაშრომში განხილულ სუფრის მკვლევარებს მხოლოდ ჩართულ დაკვირვებაზე დაფუძნებული თვისობრივი კვლევა აქვთ ჩატარებული. ისინი სუფრის ზოგადი თემის მრავალ ასპექტს რაოდენობრივი მონაცემების გარეშე განიხილავენ, რის გამოც გადაწყდა ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსება და აღნიშნულ ასპექტებზე რაოდენობრივი მონაცემების მოძიება. შესაბამისად, კვლევას არა აქვს ერთი კონკრეტული შინაარსობრივი ფოკუსი.

კვლევის პროცედურის აღწერა

კვლევა მიმდინარეობდა 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის იანვრამდე 4 თვის განმავლობაში. შესაბამისი ლიტერატურის მოძიების და დამუშავების შემდეგ კვლევის ფარგლებში მომზადდა ონლაინ კითხვარი, სადაც შევიდა სუფრის თემის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული დახურული და ღია კითხვები; მთლიანობაში 34 კითხვა (იხილეთ დანართი). მოცემული დროის რესურსის გათვალისწინებით კვლევის ჩარჩოდ შეირჩა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრები, მაგისტრანტები და მათი მშობლები.

2012 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში კითხვარი იმეილის მეშვეობით გაეგზავნა ილიას უნივერსიტეტის იმ დროისთვის რეგისტრირებულ 1700–ზე მეტი მაგისტრანტიდან 300–ს (სქესის მიხედვით გაყოფილი იმეილები ერთიანი ანბანური ჩამონათვალიდან ყოველ მეხუთეს), ხოლო დარეგისტრირებული ბაკალავრიდან ყველას. სტუდენტებს ჯერ თვითონ უნდა შეეცხოთ 10-15 წუთიანი კითხვარი, ხოლო შემდეგ ერთერთი მშობლისთვის უნდა შეეცხოებინათ იგი. მონაცემები გროვდებოდა 2 კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი დამუშავდა.

რესპონდენტები სქესისა და ასაკის მიხედვით წინასწარ იყვნენ დაყოფილი ოთხ შესასწავლ და შესადარებელ ჯგუფში: გოგო სტუდენტები, ბიჭი სტუდენტები, დედები და მამები. კვლევის კროსსექციული კომპონენტი სწორედ სტუდენტებისა და მათი მშობლების პასუხების შედარებაში მდგომარეობს.

შედეგების რეპრეზენტატულობა

კვლევისთვის შერჩეული შეზღუდული ჩარჩოს გამო, მისი შედეგები ვერ იქნება რეპრეზენტატული ქვეყნის, ქალაქის, ან თუნდაც სტუდენტების ზოგადი ასაკობრივი ჯგუფის (18–დან 25–ის ჩათვლით) მასშტაბით.

პასუხები შეიძლება რეპრეზენტატული ყოფილიყო ილიაუნის სტუდენტური კორპუსისა და მათი მშობლების მასშტაბით, თუმცა კითხვარის იმეილით გავრცელებით გამოწვეული გამოხმაურების სიმცირის გამო ამ ტიპის განზოგადების გასაკეთებლად ვერ შეგროვდა საკმარისი მონაცემები. შესაბამისად, უნდა ჩავთვალოთ, რომ წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი მონაცემები აღწერს მხოლოდ იმ ადამიანების მოსაზრებებს და გამოცდილებას, რომლებმაც კითხვარი შეავსეს.

მონაცემთა სანდოობა

კითხვარში რამდენიმე კითხვა ითხოვს წარსულის მოვლენების გახსენებას და მათ დათვლას, რის გამოც გასათვალისწინებელია რესპონდენტების შესაძლო მეხსიერების პრობლემების ან გულმოდგინების ნაკლებობის შედეგად მიღებული უზუსტობები. ამის გარდა, კითხვარში მოცემული კითხვების ფორმულირების შესაძლო ნაკლოვანებებს მონაცემების სანდოობაზე უარყოფითად შეეძლო ემოქმედა.

შეზღუდვები

მოპოვებული მონაცემები არ არის დამუშავებული რომელიმე სტატისტიკური მონაცემების გამაანალიზებელ პროგრამაში (მაგ.: SPSS), რის გამოც არ არის წარმოდგენილი ცვლადებს შორის ზუსტი კორელაციის კოეფიციენტები და შეუძლებელია მიზეზ–შედეგობრიობაზე დასკვნების გაკეთება.

საკვლევი საკითხები

თამადა – თამადაობის გამოცდილება; თამადად ყოფნის სურვილი; წარმოდგენები თამადის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

სადღეგრძელო – მოწონებული და დაწუნებული სადღეგრძელოები; სადღეგრძელოების სასურველი რაოდენობა ერთ სუფრაზე; წარმოდგენები აუცილებლად დასაღვე სადღეგრძელოებზე;

სუფრაზე დასწრების სიხშირე – სუფრებზე დასწრების სიხშირე; სუფრების რაოდენობა სახლის, რესტორნის გარემოში, ასევე მეგობრების და ოჯახის წევრების ან ნათესავების გარემოცვაში; სუფრისთვის მოსამზადებელ საქმიანობებში მონაწილეობის სიხშირე; სუფრის ალტერნატივის – ალაფურშეტზე დასწრების სიხშირე.

ალკოჰოლური სასმელი სუფრაზე – დასალევის სასურველი რაოდენობა; არაღვინით გამართული სუფრების სიხშირე; სადღეგრძელოს ლუდით დალევის მართებულობა.

სუფრასთან დაკავშირებული ზოგადი სურვილები – სუფრის გამართვის სასურველი და არასასურველი მიზეზი; სუფრაზე დამსწრეთა სასურველი რაოდენობა, ვინაობა და მათი გენდერული განაწილება, სასურველი გამართვის ადგილი და ხანგრძლივობა.

სუფრასთან დაკავშირებული ზოგადი წარმოდგენები – მისი დადებითი და უარყოფითი თვისება, ფუნქცია, მთავარი ელემენტი, წარმოშობა და გამართვის აუცილებელი შემთხვევები.

სუფრის ტრადიციულობა – მიმართება ფრანსასთან „სუფრა ქართული აკადემია“; სუფრის წესების შთამომავლობისთვის სწავლების სურვილი.

კვლევის მიზნები:

1. მცდელობა თავი მოუყაროს სუფრის შესახებ გამოქვეყნებულ კვლევებს და ნაშრომებს.
2. ამ ნაშრომებიდან საინტერესო და სადაო საკითხების, პროგნოზების ან დაშვებების ამოკრეფა და კითხვარის მეშვეობით მათი შემოწმება.
3. მცდელობა გაარკვიოს რა მიმართულებით მიმდინარეობს სუფრის ტრანსფორმაციის პროცესი დღევანდელ დღეს; რა განსხვავებებია რესპონდენტების დღევანდელ წარმოდგენებსა და განხილული მკვლევარების სუფრის აღწერებს შორის.
4. სუფრასთან დაკავშირებულ საკითხებზე კითხვარის მეშვეობით დღევანდელი წარმოდგენების მოკვლევა და მათში სქესის და ასაკის მიხედვით განსხვავებების პოვნა.

ჰიპოთეზა

სუფრასთან დაკავშირებულ საქმიანობებში, სურვილებში და წარმოდგენებში ახალგაზრდებს მშობლების საწინააღმდეგო ან ალტერნატიული მოსაზრებები გააჩნიათ.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

წარმოგიდგენთ კვლევის ფარგლებში შედგენილი ონლაინ კითხვარის მეშვეობით ჩატარებული გამოკითხვის საინტერესო და მნიშვნელოვან შედეგებს. მონაცემები ორგანიზებულია კითხვების მიხედვით, შემდეგ ჯგუფებში: პირადი მონაცემები, სუფრაზე დასწრების სიხშირე, კითხვები თამადის შესახებ, კითხვები სადღეგრძელოს შესახებ, იდეალურ სუფრის პარამეტრები და ზოგადი კითხვები სუფრის შესახებ.

პირადი მონაცემები

კვლევის ფარგლებში მომზადებული კითხვარი მთლიანობაში 186-მა რესპონდენტმა შეავსო. აქედან თავიდანვე საკვლევად გამოყოფილ 4 ჯგუფში ისინი შემდეგნაირად გადანაწილდნენ: სტუდენტი გოგოები - 115, სტუდენტი ბიჭები - 38, მათი დედები - 21, და მამები - 12 (იხილეთ ცხრილი №1 - დანართში). ზოგადი ინფორმაციის სახით შეგროვდა მონაცემები რესპონდენტების დასაქმების სტატუსისა და (სტუდენტების შემთხვევაში) მათი საცხოვრებელი ადგილისა და დაოჯახების სტატუსის შესახებ, რომლებიც დანარჩენი მონაცემების ანალიზის დროს იქნება გამოყენებული.

სუფრაზე დასწრების სიხშირე

სუფრების საშუალო რაოდენობა და პასუხების გაშლა

კითხვაზე: ბოლო 4 თვის განმავლობაში მთლიანობაში რამდენ სუფრას დაესწარით, პასუხების მიხედვით საშუალოდ ყველაზე მეტ სუფრას (12.2) მამები დაესწრნენ, მათ ახლოსვე მოსდევნენ ბიჭები საშუალოდ 11.3 სუფრით, შემდეგ მოდიან გოგოები - 8.7, ბოლოს კი დედები, რომლებიც ყველაზე ცოტა, საშუალოდ 7.4 სუფრას დაესწრნენ. გამოდის, რომ რესპონდენტები საშუალოდ თვეში 2 ან 3 სუფრას დაესწრნენ (იხილეთ ცხრილი №6).

შემდეგი მონაცემები წინა კითხვის პასუხების გაშლა სუფრის ჩატარების ადგილის (სახლი და რესტორანი), მისი მონაწილეების (მეგობრების თუ ოჯახის წევრების) და ალკოჰოლური სასმელის ტიპის მიხედვით.

ყველაზე ხშირად ალტერნატიული ალკოჰოლური სასმელით გამართულ სუფრებს ბიჭები დაესწრნენ, ასეთი მთლიანი რაოდენობის 40% იყო. ამის შემდეგ არიან გოგოები - 34% და დედები - 28%, ბოლოს კი მამები, რომელთა სუფრების საშუალო რაოდენობის მხოლოდ 9 პროცენტი გაიმართა არა ღვინით (იხილეთ ცხრილი №6).

რესტორანში და სახლში გამართული სუფრების თანაბარ რაოდენობას მხოლოდ მამები დაესწრნენ. დანარჩენმა ჯგუფებმა მინიმუმ ორჯერ უფრო ხშირად სახლის პირობებში გამართულ სუფრებში მიიღეს მონაწილეობა (იხილეთ ცხრილი №5).

სუფრის დამსწრეებს რაც ეხებათ, გოგოები და მამები ოჯახის წევრებისა და მეგობრების სუფრებს თანაბარი რაოდენობით დაესწრნენ. საინტერესოა, რომ ბიჭები თითქმის სამჯერ უფრო მეტ მეგობრების სუფრას დაესწრნენ, ვიდრე ოჯახისას, ხოლო დედები პირიქით - ორჯერ უფრო მეტ ოჯახის წევრების სუფრას (იხილეთ ცხრილი №5).

მონაწილეობის სიხშირე სუფრის მოსამზადებელ სამუშაოებში

შემდეგი კითხვა ეხება რესპონდენტების მიერ ბოლო 4 თვის განმავლობაში სუფრასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობებში მონაწილეობის მიღების სიხშირეს: სუფრის ქონა-არქონის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; საყიდლებზე წასვლა; საჭმლის მომზადება; ღვინის (სასმელის) მომარაგება; სუფრის გაშლა და მისი ალაგება.

ბიჭები და კაცები ყველაზე ხშირად სუფრის ქონა-არქონის გადაწყვეტილების მიღებაში და ღვინის მომარაგებაში იღებენ მონაწილეობას. ყველაფერ დანარჩენში, განსაკუთრებით კი სუფრის გაწყობაში/ალაგებაში თითქმის არასდროს მონაწილეობენ (იხილეთ ცხრილი №6).

დედები ყველაზე მეტად მონაწილეობენ საყიდლებზე წასვლაში, საჭმლის მომზადებაში და სუფრის გაწყობა/ალაგებაში. ამ უკანასკნელს გოგოებიც ყველაზე ხშირად აკეთებენ, თუმცა ისეთივე ინტენსივობით არ დადიან საყიდლებზე და არ აკეთებენ საჭმელს. დედებზე და გოგოებზე ყველაზე ნაკლებად მონაწილეობენ სასმელის მომარაგებაში.

ამ კითხვაზე ბიჭების პასუხებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევია კორელაცია, კერძოდ კი ის, რომ ვინც ამბობს, რომ რომელიმე საქმიანობაში არცერთხელ არ მიუღია მონაწილეობა, დიდი შანსია, რომ დანარჩენ ყველა საქმიანობაზეც იგივე პასუხი გასცეს, და პირიქით. ზუსტი შეფასების დასადებად მონაცემების შესაბამის პროგრამაში დამუშავებაა საჭირო.

ალაფურშეტზე დასწრების სიხშირე

კითხვაზე: ბოლო 4 თვის განმავლობაში დაესწარით თუ არა ალაფურშეტს, ბიჭების ნახევარმა, ხოლო გოგოების და დედების მესამედმა დადებითი პასუხი გასცა. 12 მამებიდან მხოლოდ ერთი დაესწრო ალაფურშეტს (იხილეთ ცხრილი №7).

დასაქმებული სტუდენტებიდან (გოგოებიც და ბიჭებიც) ორჯერ მეტი ამბობს, რომ დაესწრო ალაფურშეტს. დაუსაქმებლების შემთხვევაში მონაცემები საპირისპიროა.

მშობლების პასუხებში საინტერესოა ისაა, რომ 6 დედიდან, რომელმაც თქვა, რომ ალაფურშეტს დაესწრო, ყველა დასაქმებულია.

რაც ეხება რაოდენობას, ბიჭები საშუალოდ თითქმის ორჯერ მეტ ალაფურშეტს დაესწრნენ (4.4), ვიდრე გოგოები (2.5) და დედები (2.4).

კითხვები თამადის შესახებ

თამადობის გამოცდილება და სურვილი ოჯახისა და მეგობრების სიტუაციაში

ოჯახის პირობებში გოგოების 2/3-ს არასდროს უთამადა, თუმცა მეგობრების წრეში პირიქით, 2/3-ს აქვს ნათამადევი. თამადობის სურვილი არც ოჯახში და არც მეგობრებში გოგოების უმეტესობას არ აქვს, თუმცა ოჯახის პირობებში თამადობა უფრო მეტ რესპონდენტს არ უნდა (86%) ვიდრე მეგობრების წრეში (63%) (იხილეთ ცხრილი №8).

გოგოების პასუხებში შეიმჩნევა კორელაცია მეგობრების წრეში თამადობის გამოცდილებასა და თამადობის სურვილს შორის. ვისაც აქვს მეგობრებთან თამადობის გამოცდილება უფრო მეტი შანსია, რომ ასევე ქონდეს ამის სურვილი, და პირიქით, ვისაც აქვს თამადობის სურვილი უფრო მეტი შანსია, რომ ამის გამოცდილებაც ქონდეს. მსგავსი კორელაციები შესაძლოა სხვა ჯგუფებშიც მეტი იყოს, თუმცა მათ დასაწახად მეტი მონაცემებია საჭირო.

ბიჭების უმეტესობას ოჯახშიც და მეგობრებთანაც აქვს თამადობის გამოცდილება, თუმცა მეგობრებთან უფრო მეტს (92%, 73%-თან შედარებით). სურვილითაც უფრო მეტს არ უნდა თამადობა ოჯახის გარემოში (52%), ვიდრე მეგობრების წრეში (34%). როგორც პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, მხოლოდ მესამედს არ უნდა მეგობრებთან თამადობა, ოჯახთან კი ნახევარზე ცოტა მეტს. შეიმჩნევა კორელაცია სურვილთან დაკავშირებულ კითხვების პასუხებს შორის: ცამეტივე რესპონდენტს, რომელსაც არ აქვს სურვილი ითამადოს მეგობრების წრეში, ასევე არა აქვს სურვილი ითამადოს ოჯახის სიტუაციაში.

დედების შემთხვევაში გამოკითხულთა ნახევარს ოჯახშიც და მეგობრებთანაც უთამადა, თუმცა თამადობის სურვილი უმეტესობას არცერთ სიტუაციაში არა აქვს. შეიმჩნევა კორელაცია ოჯახში და მეგობრებთან თამადობას შორის. 7 რესპონდენტს (ანუ თამადობის გამოცდილებიან რესპონდენტთა 70%-ს) უთამადა ოჯახშიც და მეგობრებთანაც, თუმცა სანდო დასკვნის გასაკეთებლად მეტი მონაცემია საჭირო.

თამადობის გამოცდილება ორივე სიტუაციაში 12-ვე მამას აქვს. სურვილის შემთხვევაში უარყოფითი პასუხი ორივე ტიპის სუფრაზე მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დააფიქსირა.

თამადის 3 დადებითი თვისება

შემდეგი ორი კითხვისთვის რესპონდენტებს უნდა ჩამოეთვალათ თამადის 3 დადებითი და 3 უარყოფითი თვისება. მონაცემების შეჯამებისას დათვლილი იქნა თითო თვისების დასახელების სიხშირე მიუხედავად იმისა, მისმა ავტორმა დანარჩენი ორი რა დაასახელა. უნდა ჩათვალოს, რომ ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი მნიშვნელობითაც ყველაზე დიდია. იგივე მეთოდია გამოყენებული ასეთი ტიპის სხვა კითხვების პასუხების დათვლის დროს.

შინაარსის მიხედვით პასუხები 6 საბოლოო ჯგუფში დაჯგუფდა. მნიშვნელობის მიხედვით ესენია: განათლებულობა, მჭერმეტყველება, იუმორი (და ზოგადად გამართობისთვის საჭირო თვისებები), სასმელი, პროფესიონალიზმი, და ზოგადი დადებითი თვისებები. ექვსივე შინაარსობრივ კატეგორია რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფში სიხშირის აღნიშნული თანმიმდევრობით დალაგდა (იხილეთ ცხრილი №9).

დადებით თვისებად ყველაზე მეტჯერ დასახელდა თამადის ორატორული შესაძლებლობების აუცილებლობა (135). რესპონდენტებმა შემდეგი სიტყვები გამოიყენეს: ენაშეკერი, ენამოსწრებელი, მჭერმეტყველი, ორატორი და სასიამოვნოდ მოსაუბრე. თამადის საუბრის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი მიმართულება: ენაწყლიანობა დადებით თვისებად 21-ჯერ დასახელდა, ხოლო ლაკონურობა 14-ჯერ. ასევე, დადებითი თვისებები 6-6 ჯერ დასახელდა თამადის მაღალი ხმა და პოეტურობა (მხატვრული საუბარი).

რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე იუმორის გრძნობის ქონა და ზოგადად სუფრის დამსწრეთა გართობის უნარი მნიშვნელობით მეორე ადგილზე აღმოჩნდა (100). აქ ხშირად იყო ნახსენები თვისებები, როგორებიცაა: მხიარული, ხალისიანი, ენერგიული და საინტერესო. უფრო იშვიათად მაგრამ ასევე დასახელდა ზედსართავები: ყურადღების მიმქცევი, თავდაჯერებული, ქარიზმატული და სიმპატიური კი.

მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი თვისება განათლებულობა და სიჭკვიანე (79) (ასევე მოხერხებულობა და გონებაშეხილობა) აღმოჩნდა. პასუხების შემდეგი კომბინაცია ყველაზე ხშირი იყო: მჭერმეტყველება, იუმორის გრძნობა და განათლებულობა.

მნიშვნელობით მეოთხე ადგილას, 51-ჯერ იყო ნახსენები თამადის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული დადებითი თვისებები, როგორცაა პროფესიონალი, გამოცდილი, ადეკვატური, წესრიგის მოყვარული, ორგანიზებული და ეფექტური. აქედან ორი შესაძლო ტიპის თამადას, მომთმენს (6) და მკაცრს (5), თანაბარი ხმები ერგოთ.

ზოგადი დადებითი თვისებები 44-ჯერ დასახელდა, და მნიშვნელობით მეხუთე ადგილი დაიკავა. აქ ძირითადად თამადის აუცილებელ ზრდილობიანობაზე, თავაზიანობაზე, კულტურულობაზე, წესიერებასა და გაწონასწორებულობაზე იყო საუბარი.

მეექვსე კატეგორიაში მთლიანობაში 40-ჯერ დასახელდა სასმელის მიღებასთან დაკავშირებული ატრიბუტები. აქედან 23-ჯერ ითქვა, რომ თამადა უნდა იყოს მსმელი, მომლხენი და მოქიფე, ხოლო სასმელის ატანის უნარი (8) და მისი ზომიერად მიღება (9) დადებითი თვისებებად თანაბარ-ჯერ დასახელდა.

რესპონდენტებმა თანაბრად დაასახელეს თამადის ტრადიციულობა (12) და თანამედროვეობა (ლიბერალი, დემოკრატი, ორიგინალური) (13), როგორც დადებითი თვისებები.

4-მა რესპონდენტმა პასუხად დაწერა, რომ მათი აზრით, თამადა სუფრაზე საერთოდ არ არის საჭირო.

3-მა რესპონდენტმა გადაწყვიტა პასუხად შემდეგი ციტატა მოეყვანა: „მაღალი, უხვი, მდაბალი“.

თამადის 3 უარყოფითი თვისება

უარყოფითი თვისებებიც 6 კატეგორიად იყოფა. მნიშვნელობის მიხედვით ესენია: ზოგადი უარყოფითი თვისებები, მოსაწყენობა, საუბრის პრობლემები, გაუნათლებლობა, ალკოჰოლის პრობლემები და თამადის ფუნქციის პრობლემები (*იხილეთ ცხრილი №10*).

ზოგადი უარყოფითი თვისებები მთლიანობაში ყველაზე მეტჯერ დასახელდა (116), თუმცა მათ შორის საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებაა და უფრო მიზანშეწონილი იქნება მათი ქვე-კატეგორიებში დაჯგუფება. ყველაზე მეტად რესპონდენტებს არ მოსწონთ უხეში (შარიანი, ფიცხი, კონფლიქტური, ბრაზიანი - 32) და უზრდელი (თავხედი, უკულტურო - 33) თამადები. მათი აზრით, თამადა ასევე არ უნდა იყოს ეგოისტი (ტრახახა, ზედმეტად თავდაჯერებული, ყეყეჩი, ამაყი - 10) და არასერიოზული (ცანცარა, ტუტუცი - 12). რამდენიმე რესპონდენტმა პირდაპირ დააფიქსირა, რომ თამადა არ უნდა იყოს დეგენერატი, დებილი, იდიოტი და შტერი (7).

პასუხების მიხედვით, თამადის მნიშვნელობით მეორე ყველაზე ცუდი თვისება სუფრის მოსაბეზრებლად ჩატარებაა. მთლიანობაში ასეთი ტიპის პასუხი 86 იყო, სადაც შედიოდა პასუხები, როგორცაა: ზედმეტად სერიოზული, მოსაწყენი, უჟმური, მუდო (66) და ასევე უფრო ზოგადი თვისებები: მორცხვი, მორიდებული, კომპლექსიანი და უხასიათო.

მესამე ადგილას საუბართან დაკავშირებული პრობლემები (63) დასახელდა. დაწუნებულია როგორც ზედმეტი საუბარი (მოლაყბე, ლაქლაქა, ტლიკინა - 28) ისე არასაკმარისი ან ცუდი ხარისხის (ცუდი მოსაუბრე, მუნჯი, სიტყვამუნჯი, ენაბლუ, ბლუყუნა - 20). ამის გარდა, უარყოფით თვისებებად რამდენჯერმე იყო ნახსენები თამადის ხმაურიანობა (და ხმამაღლა საუბარი -8) და უაზრო, დაზეპირებული და გრძელი სადღევრძელოების თქმაც (7).

შემდეგ მოდის გაუნათლებლობა (49) და ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები (47). ამ უკანასკნელის შემთხვევაში პრობლემები ძირითადად მის ჭარბ და გაუკონტროლებელ მიღებასთან (41) არის დაკავშირებული. გამოყენებული იყო სიტყვები, როგორცაა: უაზრო მსმელი და ლოთი. უარყოფით თვისებად არასაკმარისად სმაც დასახელდა, თუმცა ასეთი პასუხების რაოდენობა მცირე იყო (6).

და ბოლოს, თამადის ფუნქციასთან დაკავშირებული უარყოფითი თვისებები მხოლოდ 19-ჯერ დასახელდა. ესენი ძირითადად იყო: სიმკაცრე, დიქტატორობა და სასმელის დამალება.

ტრადიციულობა (5) ან მისი ნაკლებობა (3) თამადის უარყოფით თვისებად სულ რამდენიმე, თუმცა რესპონდენტების დაახლოებით თანაბარმა რაოდენობამ დაასახელა.

დადებითთან შედარებით უარყოფით თვისებებს შორის უფრო მეტი ფიზიკური დამახასიათებლები დასახელდა. ასაკი, კონკრეტულად კი ზედმეტად ახალგაზრდა და ბებერი ორ-ორჯერ იყო ნახსენები. თითო-თითოჯერ ითქვა შემდეგი ფიზიკური „ნაკლები“: დაბალი, შეუხედავი, მსუქანი, ღიპიანი, გამხდარი და ბლანჟიანი.

ბოლოს კი მოგახსენებთ ერთეულად დასახელებულ, მაგრამ საინტერესო პასუხებს: გეი, პიდარასტი, ურწმუნო, ცაცია და სუფრაზე მყოფებისთვის უცხო.

ოდესმე დასწრებიხართ სუფრას, სადაც თამადა იყო ქალი?

გოგოების 26%, ხოლო ბიჭების 44% არასდროს დასწრებია, სუფრას, სადაც თამადა იყო ქალი. დედების შემთხვევაში კითხვას 21-ვე რესპონდენტმა დადებითად უპასუხა, ხოლო 12 მამიდან 8-ს არ უნახავს ქალი თამადა (იხილეთ ცხრილი №11).

კითხვები სადღეგრძელოს შესახებ

ყველაზე მეტად რომელი (რისი) სადღეგრძელო მოგწონთ?

გამოკითხულთა პასუხებიდან გამოიკვეთა ხუთი ძირითადი საყვარელი სადღეგრძელო: სიყვარულის (33), უფლის (26, ამას დამატებული 10 პატრიარქის სადღეგრძელო), მეგობრობის (29), სამშობლოს (25) და ოჯახის (24, სადაც ოჯახის გარდა მისი წევრების სადღეგრძელოებიც შედის) (იხილეთ ცხრილი №12).

მონაცემების სიმცირის გამო გოგოების გარდა სხვა ჯგუფების პასუხების სანდოობა დაბალია, თუმცა შესაძლებელია ის, რომ ბიჭებისთვის და მამებისთვის პირველ ორ ადგილას სამშობლოს და ოჯახის სადღეგრძელოები დგას. დედების შემთხვევაში თითქმის ნახევარმა რელიგიური სადღეგრძელოები დაასახელა. გოგოებმა კი პრიორიტეტი სიყვარულის და მეგობრობის სადღეგრძელოს მიანიჭეს.

6-მა გოგომ და 4-მა ბიჭმა პასუხად დაწერა, რომ არცერთი სადღეგრძელო არ მოსწონთ.

მანდილოსნების სადღეგრძელო მხოლოდ ერთმა ბიჭმა და სამმა გოგომ დაასახელეს.

რომელი სადღეგრძელო მოგწონთ ყველაზე ნაკლებად?

რესპონდენტებმა ამ კითხვაზე ყველაზე ხშირად (25%) არაკონკრეტული პასუხები გასცეს. მათ დაწერეს, რომ ან ყველა სადღეგრძელო მოსწონთ (21), ან არცერთი (6), ან არ იციან და ვერ გამოყოფენ რომელიმე ერთს (12), ან კიდევ პასუხი საერთოდ არ დატოვეს (12) (იხილეთ ცხრილი №13).

კონკრეტული პასუხები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათგან რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა შეიძლება. პირველ რიგში არის მიცვალებულების (შინაარსით ნეგატიური) სადღეგრძელო, რომელიც თავისი იდეით უსიამოვნოა და არ იქნება გასაკვირი, რომ ყველაზე მეტჯერ (23) სწორედ ეს პასუხი დაფიქსირდა.

შინაარსით დადებითი ან ნეიტრალური სადღეგრძელოები მთლიანობაში 49 რესპონდენტს არ მოსწონს, მაგალითად: სიყვარულის (11), ოჯახის (9), პატრიარქის (6) და მეზობლების (6). დანარჩენი პასუხები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.

პასუხების მესამე კატეგორიაში შედის არა კონკრეტული სადღეგრძელოები, არამედ არასასურველი სადღეგრძელოების აღწერა. მაგალითად: სუფრაზე დამსწრეთა ინდივიდუალური სადღეგრძელოები (ერთერთი რესპონდენტის თქმით, „აფერსიტულად ნათქვამი“) 7 ადამიანს არ მოსწონს; ზედმეტად ტრადიციული და უაზრო სადღეგრძელოები კი ექვს-ექვს რესპონდენტს.

და ბოლოს, უცნაური ან ნაკლებად გავრცელებული სადღეგრძელოები. ამ კატეგორიაში ლიდერობს ეგრედ წოდებული „3ჩ“ - ჩვენი ჩუმი ჩანაფიქრი, რომელიც 11-ჯერ დასახელდა ყველაზე ნაკლებად მოსაწონ სადღეგრძელოდ. მას მოსდევს ოთხ-ოთხჯერ დასახელებული „ნეტა“-ს და „თვალების შემოფეთების“ სადღეგრძელოები. ამ კატეგორიაში თითო-თითოჯერ დასახელდა შემდეგი სადღეგრძელოებიც: სასმელის, სტალინის, ნათურის, მთავრობის, პოლიტიკოსების და ეროვნების.

3 აუცილებელი სადღეგრძელო

პასუხები შეგროვდა იგივე პრინციპით, რაც თამადის დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ კითხვების შემთხვევაში. მათ მსგავსად ამ კითხვაშიც რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფის პასუხები ერთმანეთს გავს და მათ შორის სერიოზული განსხვავებები არ შეინიშნება.

ყველაზე ხშირად აუცილებელ სადღეგრძელოდ დასახელდა უფლის სადიდებელი სადღეგრძელო (113). მთლიანობაში რელიგიური შინაარსის სადღეგრძელოები (მაგალითად: პატრიარქის (12) და სალოცავების (10)) 141-ჯერ იყო ნახსენები (იხილეთ ცხრილი №14).

რესპონდენტებმა აუცილებელ სადღეგრძელოდ ოჯახის კატეგორიაში შემავალი სადღეგრძელოები ასევე 141-ჯერ ახსენეს. აქ ყველაზე ხშირად წინაპრებისა და წასულელების სადღეგრძელო იყო ნახსენები (66), რის შემდეგაც მოდის ოჯახის (28), მშობლების (25), შვილების (15) და ასე შემდეგ.

დანარჩენი პასუხები თითქმის თანაბრად გადანაწილდა სამშობლოს (49), სიყვარულის (44), მეგობრობისა (41) და მშვიდობის (37) სადღეგრძელოებს შორის.

ოთხმა რესპონდენტმა დატოვა პასუხი, რომ სადღეგრძელოს თქმა საერთოდ არ არის აუცილებელი ან საჭიროო.

მისაღებია თუ არა გულწრფელი სადღეგრძელოს ლუდით დაღვევა?

ბიჭების (92%), გოგოების (81%) და დედების (61%) უმეტესობისთვის ლუდით სადღეგრძელოს დაღვევა მისაღებია. მხოლოდ მამების შემთხვევაში, მათი 2/3-თვის არა არის ეს მისაღები (იხილეთ ცხრილი №15).

კითხვები იდეალური სუფრის შესახებ

ერთ სუფრაზე რამდენ ჭიქა ღვინის დაღვევას ისურვებდით?

გოგოებს და დედებს ერთ სუფრაზე საშუალოდ ოთხნახევარი ჭიქის დაღვევის სურვილი აქვთ, ხოლო ბიჭებს და მამებს მათზე მინიმუმ ორჯერ მეტის, 9.3 და 10.2 ჭიქის (იხილეთ ცხრილი №16).

შენიშვნა - გასაგებია, რომ ჭიქები შეიძლება სხვადასხვა ზომისა იყოს, მაგრამ უფრო რეალისტური და ადვილია სასმელის ასე გაზომვა, მითუმეტეს იმის გამო, რომ სუფრის წესების მიხედვით ერთი ჭიქა ერთი სადღეგრძელოს უნდა უდრიდეს.

სადღეგრძელოების სასურველი რაოდენობა ერთ სუფრაზე

სადღეგრძელოების სასურველი რაოდენობა ყველა ჯგუფისთვის უფრო მეტი ამოჩნდა, ვიდრე სასურველი სასმელის (ჭიქებში). დედებისა და გოგოების შემთხვევაში ეს დაახლოებით ორჯერ მეტია - 8.2 და 9.9 სადღეგრძელო, ხოლო ბიჭებისა (13.1) და მამების (15.9) შემთხვევაში დაახლოებით 50%-ით (იხილეთ ცხრილი №16).

ერთი სუფრის სასურველი ხანგრძლივობა

სუფრის იდეალური ხანგრძლივობის შესახებ საშუალო პასუხები ოთხივე ჯგუფისთვის საკმაოდ ახლოსაა და ძირითადად 3-დან 4 საათამდე ფარგლებში მერყეობს (დედები - 3.1; ბიჭები - 3.3; მამები - 3.9). საშუალოდ ყველაზე ხანგრძლივი სუფრა გოგოებმა ისურვეს - 4.3 საათი (იხილეთ ცხრილი №16).

შენიშვნა - ერთმა რესპონდენტმა განასხვავა მეგობრების სუფრის და ყველა დანარჩენი სუფრის სასურველი ხანგრძლივობა, რაც კარგი იდეაა კითხვის გასაშლელად.

ადამიანების სასურველი რაოდენობა ერთ სუფრაზე

სუფრაზე საშუალოდ ყველაზე ცოტა წევრის (7.8) ყოფნა ბიჭებს ურჩევნიათ, ყველაზე მეტისა კი მამებს - 13.3 ადამიანი. შუაში, 10.5 და 12.4 ადამიანით, დედები და გოგოები მოხვდნენ (იხილეთ ცხრილი №16).

სუფრაზე დამსწრე ადამიანების სასურველი გენდერული განაწილება

რესპონდენტების უმეტესობამ ყველა ჯგუფში სუფრაზე კაცების და ქალების თანაბარი რაოდენობა ისურვა (იხილეთ ცხრილი №17).

იმათვან, ვინც სუფრაზე უფრო მეტი კაცის ან ქალის ყოფნა ისურვა, გოგოების გარდა ყველა ჯგუფმა თავის სქესს მიანიჭა უპირატესობს. გოგოების შემთხვევაში, უფრო მეტმა თქვა, რომ სუფრაზე მეტი კაცის ყოფნა ურჩევნია (10), ვიდრე ქალის (6).

ერთმა ბიჭმა და ერთმა მამამ დაწერეს, რომ მთლიანად კაცების სუფრა ურჩევნიათ.

რა გარემოში გირჩევნიათ სუფრა?

ბიჭების და მამების უმეტესობას სუფრა სახლში ურჩევნია. დედები თანაბრად განაწილდნენ რესტორნისა და სახლის სუფრის მომხრეებად. გოგოების უმეტესობას კი რესტორნის სუფრაზე დასწრება ურჩევნია (იხილეთ ცხრილი №20).

ვისთან ერთად გირჩევნიათ სუფრაზე ყოფნა?

ნახევარზე მეტ მამას და თითქმის ყველა დედას სუფრაზე ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა ურჩევნია. სტუდენტების შემთხვევაში პირიქით, ბიჭების 84%-ს და გოგოების 74%-ს სუფრაზე ყოფნა მეგობრებთან ერთად ურჩევნიათ (იხილეთ ცხრილი №21).

ზოგადი კითხვები

რა შემთხვევისადმი მიძღვნილი სუფრა მოგწონთ ყველაზე მეტად?

მშობლების თაობას ყველაზე მეტად ქორწილის სუფრა მოსწონს. ბიჭები პირველ რიგში მეგობრებთან ერთად სპონტანურად, უმიზეზოდ გამართული სუფრას (13) ასახელებენ, ხოლო მეორე რიგში დაბადების დღისთვის მიძღვნილს (9). გოგოებს ყველაზე მეტად დაბადების დღის სუფრა მოსწონთ (33), ხოლო შემდეგ უკვე ქორწილის (19), ახალი წლის (13) და მეგობრებთან (19) ერთად გამართული სუფრა. საინტერესოა, რომ დასაქმებული გოგოები პირველ რიგში მეგობრების სუფრას ირჩევენ (იხილეთ ცხრილი №18).

რა შემთხვევისადმი მიძღვნილი სუფრა მოგწონთ ყველაზე ნაკლებად?

სადღეგრძელოს შესახებ კითხვის მსგავსად აქაც რესპონდენტების უმეტესობამ (61%) პასუხად ჭირის სუფრა, კონკრეტულად კი ქელები დაწერა (იხილეთ ცხრილი №19).

3 აუცილებელი შემთხვევა სუფრის გასამართად

პასუხები შეჯამდა მსგავს კითხვებში გამოყენებული მეთოდით. მათ მსგავსად ამ კითხვაშიც რესპონდენტთა ოთხივე ჯგუფის პასუხები ერთმანეთს გავს და მათ შორის სერიოზული განსხვავებები არ შეინიშნება.

პასუხები საკმაოდ მარტივად დალაგდა 3 ზოგად კატეგორიაში: პირადი მნიშვნელოვანი თარიღების, რელიგიური დღესასწაულების და სეკულარული დღესასწაულების აღნიშვნა (იხილეთ ცხრილი №23).

პასუხებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტებისთვის სუფრის გამართვა პირველ რიგში პირადი მნიშვნელოვანი თარიღების დროსაა აუცილებელი (188), მაგალითად დაბადების დღის (95) ან ქორწილის დროს (62).

სუფრის გამართვის აუცილებლობით მეორე ადგილას რელიგიური დღესასწაულები დგას (126), უფრო კონკრეტულად კი აღდგომა (58) და შობა (33).

სეკულარული დღესასწაულების კატეგორიაში მხოლოდ ახალი წელი, მთლიანობაში 90-ჯერ, დასახელდა.

7 რესპონდენტის აზრით, სუფრის გამართვა არასდროსაა აუცილებელი, ხოლო 14 ფიქრობს, რომ მისი გამართვა ნებისმიერ დროს, სურვილის შესაბამისად უნდა შეიძლებოდეს.

დასახელები სუფრის ერთი მთავარი ელემენტი

რესპონდენტებმა, სქესისა და ასაკის მიუხედავად, სუფრის ორი ძირითადი ელემენტი გამოყვეს. პირველი ელემენტი ნაცნობ და ახლობელ ადამიანებთან ერთად დროის გატარების შესაძლებლობა (34%), რომელსაც სუფრა იძლევა. მეორე ელემენტი კი - სასმელი (28%). (იხილეთ ცხრილი №24).

სხვა, უფრო იშვიათად მოხსენიებულ მთავარ ელემენტებს შორის იყო თამადა და საჭმელი, თუმცა სადღეგრძელო არცერთ რესპონდენტს არ დაუსახელებია.

დასახელები სუფრის მთავარი დადებითი თვისება

პასუხების მიხედვით სუფრის მთავარი დადებითი თვისება ადამიანების ერთმანეთთან დაახლოების შესაძლებლობა (46%), რაც შემდეგი ტიპის პასუხებით გამოიხატა: ერთად ყოფნა, ურთიერთობების გაძლიერება, დამეგობრება და კომუნიკაცია. ამ კატეგორიაში შედის აგრეთვე შემდეგი პასუხები: ურთიერთპატივისცემა და სიყვარული (11) და დაღვინის შედეგად გამოწვეული გულწრფელობა (6), ერთი რესპონდენტის სიტყვებით - „გულის ნადების განდობა“ (იხილეთ ცხრილი №25).

მნიშვნელობით მეორე დადებითი თვისება სუფრაზე გართობა, მხიარულება და განტვირთვა გამოვიდა (29%).

საინტერესოა, რომ სუფრის მიერ ტრადიციების გაგრძელება მის მთავარ დადებით თვისებად მხოლოდ სამ რესპონდენტს მიაჩნია.

დასახელები სუფრის ერთი უარყოფითი თვისება

წინა კითხვასთან შედარებით პასუხები აქ უფრო მრავალფეროვანი იყო, თუმცა აქაც გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება. ყველაზე მეტი რესპონდენტი (43.5%) თვლის, რომ სუფრის მთავარი უარყოფითი თვისება სასმელის უზომოდ მიღება (სიმთვრალე, ლოთ(ა)ობა). იყო ასევე 5 რესპონდენტი, რომლებმაც პასუხად ნაბახუსევი დაწერეს (იხილეთ ცხრილი №26).

მეორე ძირითადი უარყოფითი თვისება სუფრის არაორგანიზებულობის პრობლემა გამოვიდა, რომელიც მთლიანობაში 53-მა რესპონდენტმა (28%) დააფიქსირა. აქედან 21-ს არ მოსწონს ღრეობა (უზომობა და ზღვარს გადასვლა) ან ამის საფრთხე, 17-ს არ მოსწონს ხმაური (აყალმაყალი, ყაყანი, არეულობა და აურზაური), ხოლო 15-ს ჩხუბი (კამათი და შელაპარაკება). იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც რესპონდენტები ზედმეტ დაღვინას და ამის გამო გამოწვეულ აყალმაყალსა და ჩხუბს ერთად ასახელებდნენ.

დროის გაფლანგვა სუფრის მთავარ უარყოფით თვისებად 10-მა ადამიანმა მიიჩნია.

შემდეგი უარყოფით თვისებები მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ იყო ნახსენები: „ხვეცა კოცნა მტლამა-მტლუმი“, უცნობი ადამიანების ჩახუტება და აფერისტობაში გადასული სიყვარული, არასასურველი, უცხო ხალხი სუფრაზე, „დიეტის დარღვევა შეიძლება მოგიწიოს“, „გასარეცხი ჭურჭელი“, ღვინის დამალვა, წესების სავალდებულო დაცვა, ცუდი საჭმელი და ბევრი ჭამა.

სუფრის ტრადიციულობა უარყოფით თვისებად მხოლოდ 3-მა ადამიანმა ახსენა. ორმა რესპონდენტმა თქვა, რომ სუფრას უარყოფითი თვისებები არა აქვს.

თქვენი აზრით, რა ფუნქციას ემსახურება სუფრა?

ამ კითხვაზე პასუხები სუფრის მთავარი ელემენტის შესახებ კითხვის პასუხების თითქმის იდენტურია. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ერთი-ორი რესპონდენტის მაგივრად აქ ტრადიციის/ების შენარჩუნება სუფრის ფუნქციად 20-მა (11%) დაასახელა (იხილეთ ცხრილი №27).

რას ფიქრობთ გამონათქვამზე – სუფრა ქართული აკადემია?

აღნიშნულ გამონათქვამს რესპონდენტების უმეტესობა ეთანხმება (49%), გარდა დასაქმებული სტუდენტებისა, რომლებიც დადებით და უარყოფით პასუხს თითქმის თანაბრად იძლევიან. გამონათქვამს არ ეთანხმება 26% (იხილეთ ცხრილი №28).

ასწავლით თუ არა თქვენს შვილს ან შვილიშვილს სუფრის წესებს

უმეტესობის პასუხი ამ კითხვაზე დადებითია. რესპონდენტების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 13% არ აპირებს შვილს სუფრის წესები ასწავლოს, თუმცა ამავე დროს 37% ამბობს, რომ ბავშვები მათ თვითონ ისწავლიან (იხილეთ ცხრილი №22).

თქვენი ინფორმაციით, როდინდელი ტრადიციაა სუფრა?

კითხვაზე რესპონდენტების უმეტესობა (133 – 71%) პასუხობს, რომ სუფრა „ძველი“ ან „ძალიან ძველია“. 29 რესპონდენტს (15%) პასუხი არ გააჩნია, ხოლო დანარჩენების აზრით იგი ან საბჭოთა კავშირის (4), ან მე-19 საუკუნის (4), ან შუასაუკუნეების დროინდელია (6). ან კიდევ საერთოდ არაა ტრადიცია (4) (იხილეთ ცხრილი №29).

რესპონდენტების ნაწილი პასუხის დასაბუთებასაც შეეცადა. სუფრის წარმოშობას ისინი უკავშირებენ ღვინის დაყენების დაწყებას, ქრისტესშობას, ქართველების გაჩენას და სამეფო კარს (მათ შორის ნადიმს).

მონაცემთა ანალიზი და დისკუსია

ზოგადი შენიშვნები

რესპონდენტების რაოდენობა არაპროპორციულად გადანაწილდა სქესისა და ასაკის მიხედვით საკვლევად და შესადარებლად გამოყოფილ ოთხ ჯგუფში. დედების და მამების არასაკმარისი რაოდენობა შეგროვდა, რის გამოც კვლევის კროსსექციულმა ელემენტმა სათანადოდ ვერ იმუშავა და თაობებს შორის შედარებები საჭირო და სასურველი სანდოობით ვეღარ მოხერხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰიპოთეზის სათანადოდ შესამოწმებლად არასაკმარისი მონაცემები შეგროვდა.

ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს კითხვარის გავრცელების მედიუმი: იმეილით გაგზავნილ კითხვარს გამოხმაურება მინიმალური ჰქონდა, მას ძირითადად გოგო სტუდენტები ავსებდნენ, ხოლო მშობლებიდან ძირითადად ავსებინებდნენ დედებს, რაც თავისთავად საინტერესო შედეგია. ამის გამო ჰიპოთეზის შემოწმება სათანადოდ ვერ მოხერხდება.

არასაკმარისი რესპონდენტების პრობლემა განსაკუთრებით შესამჩნევია მრავალი პოტენციური პასუხის მქონე ღია კითხვების ანალიზისას. ასეთები იყო მაგალითად კითხვები თამადის დადებით და უარყოფით თვისებების შესახებ.

დაოჯახებული სტუდენტების რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ ამის შესახებ კითხვა გამოუსადეგარი გამოდგა.

მონაცემთა დათვლის დროს ამოღებულ იქნა ე.წ. აუთლაიერები (მაგალითად ერთმა რესპონდენტმა დაწერა, რომ 4 თვის განმავლობაში 100 სუფრას დაესწრო.)

როგორც უკვე აღინიშნა მონაცემთა ანალიზში არ არის გათვალისწინებული მიზეზ-შედეგობრიობის შესახებ დასკვნების კეთება, მაგალითად: გოგო რესპონდენტების შემთხვევაში თამადობის სურვილსა და თამადობის გამოცდილების ქონას შორის შეიმჩნევა კორელაცია, თუმცა უცნობია რომელი რომელს განაპირობებს.

კითხვებზე: სუფრის რომელი შემთხვევა და სადღეგრძელო არ მოგწონთ, პასუხების უმეტესობა ქელები, და მიცვალებულების სადღეგრძელო იყო. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ორივე პასუხი თავისი იდეით უარყოფითი შინაარსისაა და არასასიამოვნო უნდა იყოს. ამის გამო უმჯობესი იქნებოდა მათი კითხვაშივე გაფილტვრა.

მონაცემთა ანალიზი

იდეალური სუფრის პარამეტრები

კითხვარიდან მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასახელოთ სუფრის იდეალური პარამეტრები. იდეალური სუფრას ესწრება 8-13 წევრი (კაცების და ქალების თანაბარი რაოდენობით), გრძელდება 3-4 საათი, ითქმის 8-16 სადღეგრძელო და თითო წევრის მიერ იღევა 4-10 ჭიქა. ამასთან სტუდენტებს ურჩევნიათ მეგობრებთან ქეიფი, მშობლებს ოჯახთან, ქალებს რესტორანში, ხოლო კაცებს სახლში.

ღირებულებებზე შეთანხმება

საინტერესოა, რომ შემდეგი ტიპის წყვილ კითხვებს შორის: თამადის და სუფრის დადებითი და უარყოფითი თვისებები, მოწონებული და დაწუნებული სადღეგრძელოები და სუფრის გამართვის მიზეზები, უარყოფითი პასუხები ყველა შემთხვევაში უფრო მრავალფეროვანი გამოვიდა. ეს იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ გამოკითხულმა რესპონდენტებმა უფრო კონკრეტულად იციან, უფრო „შეთანხმებულიები“ არიან დადებით თვისებებზე, ვიდრე უარყოფითზე.

ეს ეფექტი ყველაზე კარგად სადღეგრძელოს შემთხვევაში ჩანს. ჰელგა კოთჰოფის თანახმად, სადღეგრძელო არ შეიძლება იყოს „ცუდი“. აუცილებელია, რომ მისი ემოციური მესიჯი დადებითი იყოს.^[110] მართლაც, კითხვაზე - რომელი სადღეგრძელო მოგწონთ ყველაზე ნაკლებად, რესპონდენტებს ყველაზე ხშირად კონკრეტული პასუხი არ ჰქონდათ, დანარჩენი პასუხები კი სადღეგრძელოს თითქმის ყველა თემას ეხებოდა. ამის საპირისპიროდ, საყვარელ და განსაკუთრებით სავალდებულო სადღეგრძელოებში პასუხები მარტივად და თანაბრად დალაგდა ორ ძირითად კატეგორიაში (ოჯახი და ღმერთი) და 4 ქვეკატეგორიაში (სამშობლო, სიყვარული, მეგობრობა და მშვიდობა).

ამ შემთხვევაში საინტერესო იქნებოდა რესპონდენტებისთვის ლუდით დალეული სადღეგრძელოს, ანუ ანტისადღეგრძელოს შესახებ კითხვის დასმა.

რაც ეხება თვითონ სავალდებულო სადღეგრძელოების მნიშვნელობას, კოთჰოფი-ს დაკვირვებით, სადღეგრძელო სუფრაზე მსხდომების მიერ და თავიანთი საერთო ღირებულებების გამოხატვა და ერთმანეთისადმი მათ მიმართ ლოიალობის დადასტურების საშუალებაა.^[111] ანუ რისი სადღეგრძელოებიც აუცილებლად დასახელდა, ითვლება, რომ სწორედ ისინია ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო ღირებულებები.

აქედან გამომდინარე გამოდის, რომ რესპონდენტებისთვის უფალი და ოჯახი არის ის ორი უმთავრესი ღირებულება, რომლისთვის ლოიალობის დადასტურება ყოველ სუფრაზეა საჭირო. სამშობლო, სიყვარული, მეგობრობა და მშვიდობა ასევე აღიარებული ღირებულებებია, თუმცა მეორეხარისხოვანი.

გართობა და წესრიგი

მონაცემებიდან გამოდის, რომ სუფრის ფუნქციონირებისთვის რესპონდენტებს სასმელი აუცილებლად მიაჩნიათ. მოწყენილობის თავიდან ასაცილებლად და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანების დაახლოვების წინაპირობის შესაქმნელად სუფრაზე იგი აქტიურად უნდა იყოს მოხმარებული. თუმცა, ამავე დროს ირკვევა, რომ მათივე აზრით სასმელი სუფრის მთავარი „მტერიცაა“, რადგან მას შეუძლია თამადა გაალოთოს და სუფრა ღრეობად აქციოს. ერთი მხრივ არსებობს ძლიერი მოთხოვნილება, რომ კარგი თამადისა და სასმელის მეშვეობით სუფრა სახალისო იყოს, ხოლო მეორე მხრივ არსებობს ზღვარს გადასვლის ძლიერი შიში. შესაბამისად, უნდა არსებობდეს რამე, რაც შეაკავებს სასმელით გამოწვეულ ქაოსს. ჰელგა კოთჰოფის აზრით, შემაკავებლის ფუნქცია სუფრაზე სადღეგრძელო ასრულებს.^[112]

საინტერესოა, რომ ორგანიზებულობა და წესრიგი სუფრის დადებით თვისებებში არცერთხელ არ დასახელებულა, თითქოს რესპონდენტებს სუფრის ეს თვისებები თავისთავად ღირებულად არ მიაჩნიათ. ამ მხრივ შესაძლოა უბრალოდ დამთხვევა იყოს, თუმცა არც სადღეგრძელო დასახელებულა ერთხელ მაინც სუფრის მთავარ ელემენტად.

ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება

კვლევის შედეგებიდან გვაქვს შესაძლებლობა ვნახოთ რამდენად უწყობს რაოდენობრივი მონაცემები ხელს ის აზრს, რომ სუფრა ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას ემსახურება.

ერთი მხრივ როგორც ვნახეთ სამშობლოს სადღეგრძელო არც მოწონებულ და არც სავალდებულო სადღეგრძელოებში გამორჩეულ ადგილს არ იკავებს. ასევე, სუფრის ფუნქციის შესახებ უფრო პირდაპირ კითხვაზე კი ტრადიციების შენარჩუნება რესპონდენტების მხოლოდ 10%-მა დაასახელა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რესპონდენტებს სუფრაში და მის კომპონენტებში (თამადა და სადღეგრძელო) უფრო მნიშვნელოვნად ადამიანური ურთიერთობები და გართობა მიაჩნიათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაციონალური იდენტობის თემა არ არის აქტუალური, როგორც მინიმუმ რესპონდენტების თვალში.

გენდერი

კევინ ტუიტის პროგნოზი, რომ თუ ქალები შეწყვეტენ სუფრის მოსამზადებელი სამუშაოს კეთებას, მაშინ მას საფრთხე დაემუქრება, ჩვენი მონაცემებიდან ჯერჯერობით დასტურდება, რადგან სუფრის მოსამზადებელ სამუშაოებს მაინც ძირითადად დედები და გოგო სტუდენტები ასრულებენ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რესპონდენტების თითქმის მესამედს არ ყავს ნანახი ქალი თამადა. თუმცა, ქალების თამადაობის გამოცდილებისა და სურვილის გათვალისწინებით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულთა შორის ქალების თამადაობა არ არის იშვიათი ან გაუგონარი მოვლენა. ლაურა ლინდერმანი წერს, რომ მისი გამოცდილებით მხოლოდ ქალების, უმეტესად ქალების და ქალი თამადიანი სუფრები უფრო ხშირად იმართება, ვიდრე ეს ხალხს წარმოუდგენია.^[113] კვლევის მონაცემები ამ დაკვირვებისთვის დაჯერების საფუძველს იძლევა.

მომავალი

კევინ ტუიტის და ემზარ ჯგერენაიას ვარაუდი, რომ ალაფურშეტი შესაძლოა სუფრის კონკურენტი იყოს, არ მართლდება. 4 თვის პერიოდის განმავლობაში რესპონდენტების მხოლოდ მესამედი დაესწრო ალაფურშეტს, ხოლო საშუალო ალაფურშეტების რაოდენობა სუფრების რაოდენობაზე სამჯერ ნაკლები იყო.

